CIAN MAGENTA YALLOW BLACK

„ვისოლი“
სუპერი – 2,11
პრემიუმი – 2,06
ევრორეგულარი – 1,91
რეგულარი – 1,88

„გალფი“
სუპერი – 00
პრემიუმი – 2,09
ევრორეგულარი – 1,99
რეგულარი – 1,89

„რომპეტროლი“
ევრო-98 – 2,17
ევროპრემიუმი – 2,03
ევრორეგულარი – 1,87

„ლუკოილი“
ევროსუპერი – 2,09
პრემიუმავანგარდი – 2,01
ევროპრემიუმი – 00
ევრორეგულარი – 1,84

„სოკარი“
სუპერი – 2,10
ნანოპრემიუმი – 2,01
ევრორეგულარი – 1,91
ნანორეგულარი – 1,88

# ალია

## საწვავის ფასებით გამწარებულ მძღოლებს ჯონდი ბაღათურია 12 საათზე რესპუბლიკის მოედანზე ელოდება

N189/3119/ 24 დეკემბერი 2014 წ ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან



## სად არის და რა უპასუხა ბრალდებებზე თავდაცვის მინისტრმა „ალიას“



### ვის და რატომ არ მოუხდის ბოდიშს მურმან დუმბაძე?

### რას მოგვიტანს გაეროს მხარდამჭერი რეზოლუცია?



## „სითი პარკიც“ და ნარმანიაც ყელში ამოუვიდათ „მანქნებიან თბილისლებს“



### რა შემადგენლობით აპირებს უმრავლესობა პრეზიდენტთან შეხვედრას?



## გიორგი ბურჯანაძე: „ჩვენი თანამშრომელი შეეცადა, ნიმუში აეღო მშენებლობიდან და იქიდან გამოაძევეს“

## რამდენად ხარისხიანია თბილისში მშენებარე ბინები?

### რა გარიგებებში ადანაშაულებენ სუბარის სამინისტროს?






## ომბუდსმენის ოფისს ნეპოტიზმში ადანაშაულებენ

## რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს გია ჟორჟოლიანი და ნიკა გვარამია?





### „ნაციონალებს“ დელეგაციაში კვოტა ჩამოართვეს



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## პრეზიდენტი საახალწლოდ პატიმრებს შეიწყალებს



შეწყალების კომისიაში უკვე შესულია 500-მდე მსჯავრდადებულის განცხადება. კომისიის თავმჯდომარის ზვიად ქორიძის თქმით, კრიტერიუმებს მხოლოდ 225 მსჯავრდადებული აკმაყოფილებს.

„უახლოეს დღეებში, როდესაც დავასრულებთ მუშაობას, უკვე რეკომენდაციას წარვუდგენთ პრეზიდენტს. შემდეგ უკვე პრეზიდენტის გადასაწყვეტია, როდის გამოაცხადებს შეწყალებას“. – განაცხადა ქორიძემ. (ნიუპოსტი)

# რა შემადგენლობით აპირებს უმრავლესობა პრეზიდენტთან შეხვედრას?

პარტია „თავისუფალი დემოკრატებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტს საპარლამენტო უმრავლესობა შეხვდება.

„პრეზიდენტისა და უმრავლესობის შეხვედრა, ჩვენს შორის კომუნიკაცია სისტემატურ ხასიათს უნდა ატარებდეს. გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა მასთან კონსულტაციები უკვე დაიწყეს. ეს ძალიან კარგია. მიუხედავად იმისა, რომ ახალი კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს შეზღუდული უფლებამოსილება აქვს, მასთან მუდმივი კომუნიკაცია აუცილებელია და ის სისტემატურ ხასიათს უნდა ატარებდეს“, – ამბობს ზაქარია ქუცნაშვილი.

როდის, რა შემადგენლობით, ან რაზე სასაუბროდ შეხვდება საპარლამენტო უმრავლესობა საქართველოს პრეზიდენტს?

**„ალიას“ ზაქარია ქუცნაშვილი ესაუბრა:**



– საუბარია ისეთი სისტემის აწყობაზე, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტთან შეხვედრები სისტემატურ ხასიათს უნდა ატარებდეს. შესაბამისად, ის საკითხები, რომელიც არის პოლიტიკური უმრავლესობის ინტერესში, ის საკითხები, რომლებიც არის სახელმწიფოს მეთაურის ინტერესში, უნდა იხსნებოდეს პირდაპირი კომუნიკაციის გზით. ასეთი შეხვედრებისთვის მზაობა პრეზიდენტმა გამოხატა ჯერ კიდევ 2 თვის წინ და ახლა, ამ პროცესს სჭირდება უბრალოდ დაწყება და შესაბამისად, ამ საკითხში უნდა ჩაერიონ უმრავლესობის ფორმალური ლიდერები.

**— რა ფორმატში, ან რა შემადგენლობით შეხვდებით პრეზიდენტს?**

– რა ფორმატი იქნება შერჩეული, ეს დამოკიდებულია თითოეულ ჩვენგანზე, ეს იქნება, ან ფრაქციების თავმჯდომარეების დონეზე შეხვედრა, ან უმრავლესობის წევრების დონეზე. მე, უფრო მხარს ვუჭერ უმრავლესობის ლიდერების დონეზე შეხვედრას, იმიტომ, რომ უმრავლესობაში შემავალ დეპუტაციას უნდა ჰქონდეს კავშირი სახელმწიფოს მეთაურთან, ეს არის ნორმალური პროცესი. ცალკეულ თემებზე, ცალკეული ჯგუფების შეხვედრა, ასევე, ნორმალურია, მაგრამ სისტემური კომუნიკაციისთვის, აჯობებს უმრავლესობასა და პრეზიდენტს შორის არსებობდეს თვეში ერთი შეხვედრა, ან საქმის საჭიროებიდან გამომდინარე მსგავსი შეხვედრები იყოს უფრო ხშირი.

**— როდისთვის გეგმავთ შეხვედრას?**

– ვერ გეტყვით, ჯარ არ არის თარიღი დაზუსტებული

**— „თავისუფალი დემოკრატებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტთან შეხვედრის მთავარი თემა, ეროვნული უსაფრთხოება და აფხაზეთ-რუსეთის ხელშეკრულება იყო. თქვენ რაზე უნდა ესაუბროთ პრეზიდენტს?**

– შეხვედრის ფორმატი და თემატიკა უნდა განისაზღვროს მხარეთა შეთანხმების გზით. პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და საპარლამენტო უმრავლესობას შორის უნდა მოხდეს კომუნიკაციის დამყარება და საპარლამენტო უმრავლესობის აპარატმა და პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უნდა შეაჯეროს თემატიკაცა და ფორმატიც. თუ სისტემური კომუნიკაციის აწყობა გვსურს, ასე უნდა მოხდეს.

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

# რატომ ალოდინა მიროტაძემ სამი კომიტეტი?

გუშინ პარლამენტში სამი კომიტეტის გაერთიანებული სხდომა ანი მიროტაძის გამო დაგვიანებით დაიწყო.

რატომ იყო აუცილებელი ანი მიროტაძის დასწრება სხდომაზე? როგორც „ალიას“ იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ, ვახტანგ ხმალაძემ განუცხადა: „კვორუმი არ იყო, რომ სხდომა დაწყებულიყო. აუცილებელი იყო, რომ სხდომაზე ყოფილიყო კომიტეტის 8 წევრი, ანი იყო მერვე. „ნაციონალები არ მოდიან კომიტეტის სხდომებზე, არანაციონალი არის 8“.



**„ალიას“ ანი მიროტაძე** ესაუბრა:

– მთელი სამი კომიტეტი მელოდებოდა და ძალიან მრცხვენია, მაგრამ გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით იყო კონფერენცია და ვიყავი მთავარი მომხსენებელი. მოხდა ისე, რომ ვერ ჩავეტიეთ დროში, წინა გამომსვლელებს სიტყვა გაუგრძელდათ, შემდეგ იყო ჩემი გამოსვლა და ამიტომ დავაგვიანე.

**— რამდენ ხანს დააგვიანეთ?**

– ნახევარი საათი. ისე მრცხვენია ყველა ჩემი კოლეგის, მაგრამ მართლა არ იყო ჩემი ბრალი. ძალიან ბევრი დამეთანხმება, რომ ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი იყო „ჰოლიდეი ინში“ ამ ღონისძიებაზე. მე არ ვიყავი მომხსენებელი, მაგრამ იცოდნენ, რომ მივდიოდი. ზოგადად, გვაქვს კვორუმის პრობლემა, არ გვესწრება ოპოზიცია და შესაბამისად, ერთი წევრიც თუ არ არის უმრავლესობიდან, იქმნება პრობლემა. არასდროს ვაგვიანებ, ვითვლები ყველაზე მოწესრიგებულ დეპუტატად. ესეც არ იყო ჩემი ბრალი. მთავარი გამომსვლელი ადრე ვერ წამოვიდოდა, უხერხული იყო იქ მყოფი საზოგადოებისთვის.

**— რა საკითხები განიხილეთ?**

– ჩემთვის მნიშვნელოვანი საკითხები იყო, ბევრი ვიმუშავეთ ამ საკითხებზე. საინტერესო იყო იპოთეკარებთან დაკავშირებით. არსებობს ახალი ინიციატივა და კომიტეტმა გადაწყვიტა, შექმნას სამუშაო ჯგუფი. უნდა დამუშავდეს ყველა წინადადება, რომ პრობლემა მოვაგვაროთ. ცესკოს ორი წევრი არის წარმოდგენილი პარლამენტში და მათი ხედვები მაინტერესებდა.

ჟანა ასანიძე
568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## საქართველოს საზღვართან მიწისძვრა მოხდა



საქართველოს საზღვრიდან ორ კილომეტრში, 4 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა დაფიქსირდა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სეისმური მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, მიწისძვრის ეპიცენტრი დაღესტნის ტერიტორია იყო.

ყველაზე მეტად ბიძგები ყვარელში იგრძნობოდა. არსებული ინფორმაციით, მიწისძვრას ნგრევა არ მოჰყოლია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ყაზტრანსგაზ-თბილისში“ ცხელი ხაზი ამოქმედდა




„ყაზტრანსგაზ-თბილისში“ ცხელი ხაზი – 220 04 04 ამოქმედდა. კომპანია ერთბაშად ორ ახალ სერვისს სთავაზობს მომხმარებელს: ცხელი ხაზის საშუალებით, რომლის ნომერია 240 40 04 კომპანიის აბონენტები ბუნებრივი აირის მიწოდებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე უმოკლეს ვადებში მიიღებენ ამომწურავ ინფორმაციას, ხოლო რიგის მართვის თანამედროვე სისტემით აღჭურვილი მოქალაქეთა მისაღები კი გაზიფიცირების მსურველთ მოემსახურება.

ახალი სერვისით სარგებლობა მოქალაქეებს შეეძლებათ როგორც ცენტრალურ ოფისში, ასევე რაიონულ ბიზნესცენტრებში სამუშაო დღეებში, დილის 09:00-დან 18:00-მდე.

პარალელურად შპს კომპანიაში ფუნქციონირებას იწყებს კონფიდენციალური ტელეფონიც 220 04 04, სადაც აბონენტებს ანონიმურად შეეძლებათ გამოხატონ პრეტენზია კონკრეტული თანამშრომლის მიმართ ან სამართალდარღვევის ფაქტზე, კომპანია დაუყოვნებლივ რეაგირებას მოახდენს ცხელ ხაზზე შემოსულ ნებისმიერ პრობლემაზე, რომელიც აბონენტებს შეექმნებათ.

კომპანიაში აცხადებენ, რომ ცხელი ხაზი წარმოადგენს შუამავალ რგოლს აბონენტსა და კომპანიის სხვა სამსახურებს შორის, მისი მიზანია მაქსიმალურად იყოს დაცული აბონენტის უფლებები და ოპერატიულად გადაწყდეს ნებისმიერი პრობლემა, რომელიც აბონენტს შეექმნება. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მრავალსართულიანი ავტოსადგომის ასაშენებლად 1.5 მილიონი ლარია გათვალისწინებული



თბილისის 2015 წლის ბიუჯეტში მერიასთან მრავალსართულიანი ავტოსადგომის ასაშენებლად მილიონ-ნახევარი ლარია გათვალისწინებული. დავით ნარმანიას თქმით:

„მომდევნო წლის ბიუჯეტში გავითვალისწინეთ მრავალსართულიანი ავტოსადგომის მშენებლობა მერიის გვერდზე. სადაც არა მხოლოდ მერიის თანამშრომლებს, არამედ მოქალაქეებს, რომლებიც მოდიან ჩვენთან სხვადასხვა სერვისის მისაღებად, შეეძლებათ ავტოსადგომით სარგებლობა. პროექტისთვის მილიონ-ნახევარი ლარი მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია“, – განაცხადა ნარმანიამ. (ინტერპრესნიუსი)

## თბილისში ძირითადი საახალწლო ღონისძიებები რიყეზე გაიმართება

ძირითადი საახალწლო ღონისძიებები რიყეზე გაიმართება. გალაკონცერტი 31 დეკემბერს, ევროპის მოედანზე გაიმართება, რომელიც 21:30 საათიდან დაიწყება და ღამის 3 საათამდე გაგრძელდება.

თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის, ია მაქაცარიას განცხადებით, გალა კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი და უცხოელი მომღერლები.

მისივე თქმით, ევროპის მოედანზე ორი სცენა დამონტაჟდება. რიყის პარკში 25 დეკემბრიდან დაგეგმილი ღონისძიებები გაიხსნება. კერძოდ, გაიხსნება ყველა ჯიხური, რომელშიც გაიყიდება საახალწლო ნობათი, იფუნქციონირებს ყინულის მოედანი. ერთი თოვლის ბაბუა რიყის პარკში, მეორე კი, მთაწმინდის პარკში დაიდებს ბინას და იქ დახვდება ბავშვებს საჩუქრებით. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




# საწვავის ფასებით გამწარებულ მძღოლებს ჯონდი ბაღათურია 12 საათზე რესპუბლიკის მოედანზე ელოდება

16 დეკემბერს „ალიაში“ გამოვაქვეყნეთ პუბლიკაცია საწვავის ქართულ ფასებთან დაკავშირებით, სადაც მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოების ხელმძღვანელმა, ბექა კემულარიამ კონკურენციის სააგენტოს მისამართით გამოთქვა პროტესტი. მისი გაანგარიშებით, დღეს ჩვენს ქვეყანაში 1 ლიტრი საწვავის შემოტანა, აქციზის გადასახადიანად, სატრანსპორტო, სარეალიზაციო, ადმინისტრაციული და ზედნადები ხარჯების ჩათვლით, ჯდება 1 ლარი და 10 თეთრი.

17 დეკემბერს ამ თემას მთავრობის სხდომაზე გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. მან საგანგებოდ დაავალა კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელობას, 10 დღეში საზოგადოებას წარმოუდგინოს საწვავის ბაზრის კვლევის ანგარიში და გაგვარკვიოს, რატომ არ იაფდება ნავთობი საქართველოში მაშინ, როცა მსოფლიო ბაზარზე 120 დოლარიდან 60 დოლარამდე ჩამოვიდა, ანუ 50%-ის გაიაფდა.

იმავე დღეს ჩვენ დაგვიკავშირდა კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელი, გიორგი ბარაბაძემ და გვითხრა, რომ ის 10 დღეში წარმოადგენს ანგარიშს, სადაც გასაგებად იქნება ახსნილი, გვაქვს თუ არა საქმე მონოპოლიასთან და შეთანხმებულ ფასებთან.

ჩვენ თვალ-ყურს ვადევნებდით ნავთობკომპანიების საიტებზე გამოქვეყნებულ ფასებს და რატომღაც გვეგონა, რომ პრემიერ-მინისტრის განცხადების შემდეგ დაიწყებოდა შემცირება 10-20 თეთრით მაინც, მაგრამ მოვტყუვდით. 17 დეკემბრიდან დღემდე, ანუ 24 დეკემბრამდე არაფერი შეცვლილა. ერთადერთი კომპანია აღმოჩნდა „რომპეტროლი“, რომელმაც 18 დეკემბერს „ევრო 98“ 2 თეთრით შეამცირა, ხოლო „ევროპრემიუმი“ და „ევრორეგულარი“ – 5 თეთრით. ესეც იმიტომ, რომ ამ კომპანიას სხვებზე მაღალი ფასები ჰქონდა დაფიქსირებული და ამის შემდეგ გაუთანაბრა.

რას ნიშნავს პრემიერ-მინისტრის განცხადების შემდეგ ფასების ასეთი გაყინვა – საბოტაჟს თუ თუ უბრალოდ ფეხებზე დაკიდებას? „ქართული დასის“ ლიდერი, **ჯონდი ბაღათურია**, რომელიც ფასების შემცირების მოთხოვნით აქციას 24 დეკემბერს, დღის 12 საათზე რესპუბლიკის მოედანზე მართავს, „ალიასთან“ საუბარში ამბობს, რომ ეს არის თამაში. მისი თქმით, პრემიერმა განაცხადა, კონკურენციის სააგენტოს დაავალა, ახლა წარმოგვიდგენენ რაღაცას და ყველაფერი დარჩება ისევ ძველებურად:

**— ჯონდი, რა ფორმით ატარებთ აქციას, ვინმე გიერთდებათ ან პოლიტიკური პარტიებიდან, ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან?**

– კი, არის სურვილები, წინადადებები უფრო პოლიტიკური პარტიებიდან. საზოგადოებრივი ორგანიზაციები არ მოგვიწვევია, ეგენი პოლიტიკურ აქციებზე თავს იკავებენ ხოლმე. ვნახოთ, ვინ მოვა, პარტიებსაც ახლა ვერ დავასახელებ, შეიძლება გადაიფიქრონ და უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავაყენებ. კოლონა დაიძვრება რესპუბლიკის მოედნიდან, მივალთ კოლმეურნეობის მოედანზე, გავჩერდებით ენერგეტიკის სამინისტროსთან, იქნება 1-წუთიანი გამაყრუებელი სიგნალები ავტომობილებით. მოვუწოდებთ ხელისუფლებას, რომ დაშალოს მონოპოლისტური სქემები და თავი დაანებოს ისედაც გალატაკებული ხალხის ძარცვას. 2012 წლის შემდეგ გაცილებით გაიზარდა ელიტური კორუფცია და ამის შესანიშნავი მაგალითია ბენზინი, თუ ადრე მიჰქონდათ 40-50 თეთრი, ახლა მიაქვთ 60-70 თეთრი.

**— დაახლოებით რამდენ კაცს ელოდებით აქციაზე?**

– ჩვენ კაცს კი არა, მანქანებს ველოდებით, ეს არის ავტომობილების აქცია. ვერ გეტყვი, ჩვენ ახლა აქცენტს არ ვაკეთებთ რაოდენობაზე. „ქართული დასის“ აქტივი აუცილებლად იქნება, ალბათ, მძღოლებიც შემოგვიერთდებიან, ერთ კოლონად ჩავდგებით, მოძრაობის წესებს არ დავარღვევთ და ასე მივალთ ენერგეტიკის სამინისტროსთან.

**— მერე რას აპირებთ, არა მგონია, ამ აქციის შემდეგ საწვავის ფასები უცებ დაეცეს, შემდეგ რა ხდება?**

– თუ ამის შემდეგ არ დაიწევს ფასები, მასშტაბებს გავზრდით და გადავალთ მასობრივ აქციებზე, აქ უკვე აქცენტს გავაკეთებთ რაოდენობაზე, დავიწყებთ მძღოლების მობილიზებას. სხვათა შორის, ეს არ არის მხოლოდ მძღოლების პრობლემა, ეს ზოგადად ურტყამს ჩვენს ეკონომიკას. როცა ბენზინი იაფია, მაშინ მცირდება ფასები პროდუქტებზეც. აქ საქმე გვაქვს კარტელურ შეთანხმებასთან, რაც ჩვენ აუცილებლად უნდა დავანგრიოთ. ეს არის ოლიგარქების შეთქმულება საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ.

26 დეკემბერს იგივე საკითხზე აქციას მართავენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კერძოდ: „მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოება“ და მოძრაობა „პროტესტი საწვავის ქართულ ფასებს“. მივლენ თუ არა ამ არასამთავრობოების წარმომადგენლები ჯონდი ბაღათურიას მიერ გამართულ აქციაზე? როგორც ბექა კემულარია ამბობს „ალიასთან“, ის არ აპირებს, რადგან არ აქვს პოლიტიკური ამბიციები და ბრძოლას აპირებს მხოლოდ კვლევების კუთხით. თუმცა, თავად ჯონდი ბაღათურიას აქვს სურვილი, საკუთარი „სასტავით“ შეუერთდეს 26 დეკემბრის აქციას მთავრობის კანცელარიასთან. რამდენად შეთანხმდებიან პოლიტიკოსები და არასამთავრობოები, ეს უკვე გაურკვეველია.

გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

## 24 დეკემბრის მონაცემებით, საწვავზე ფასები ასე გამოიყურება:

**„ვისოლი“**

სუპერი – 2,11
პრემიუმი – 2,06
ევრორეგულარი – 1,91
რეგულარი – 1,88

**„გალფი“**

სუპერი – 00
პრემიუმი – 2,09
ევრორეგულარი – 1,99
რეგულარი – 1,89

**„რომპეტროლი“**

ევრო-98 – 2,17
ევროპრემიუმი – 2,03
ევრორეგულარი – 1,87

**„ლუკოილი“**

ევროსუპერი – 2,09
პრემიუმავანგარდი – 2,01
ევროპრემიუმი – 00
ევრორეგულარი – 1,84

**„სოკარი“**

სუპერი – 2,10
ნანოპრემიუმი – 2,01
ევრორეგულარი – 1,91
ნანორეგულარი – 1,88

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...



## „ნინო ჟიჟილაშვილმა რეიტინგი და მაყურებელი დაკარგა... მე ჩემს გეგმებს მივყვები“

კოკა ყანდიაშვილი „მაესტროდან“ წასულ ჟურნალისტებს პასუხობს:

„ადამიანებმა, რომლებიც იქიდან წამოვიდნენ, სჯობია სისულელეების ლაპარაკს ჩაიხედონ რეიტინგებში და ნახონ, რა რეიტინგი ჰქონდა მათ პროექტებს, მე მგონი, ყველასთვის გასაგებია, რომ ბოლო 1 წლის განმავლობაში „მაესტროს“ რეიტინგი მიდიოდა სულ ქვევით, მათ შორის ქალბატონი ნინო ჟიჟილაშვილის გადაცემაც, რომელმაც, სამწუხაროდ, დაკარგა მაყურებელი, რაც ძალიან სამწუხაროა. მე მგონია, რომ ზუსტად რეიტინგია მთავარი, რის გამოც „მაესტროში“ არის რეორგანიზაცია და იმედია, „მაესტროს“ მენეჯმენტი მოაგვარებს ამ პრობლემებს. გეგმები, რომელიც მე მაქვს, არ ჩაიშლება და მიზანმიმართულად ამას მივყვები, თუ მე გადავწყვეტ, რომ წავიდე „მაესტროში“, წავალ და დამიჯერეთ, რომ გავაკეთებ ძალიან კარგ ტელევიზიას“. – განაცხადა ყანდიაშვილმა (ნიუპოსტი)

## ოკუპანტების მიერ დაკავებული ვასილ ხიდაშელი გაათავისუფლეს



რუსი ოკუპანტების მიერ, 20 დეკემბერს გორის რაიონის სოფელ წითელუბანთან, ეგრეთწოდებული საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით დაკავებული ვასილ ხიდაშელი გაათავისუფლეს.

„შს სამინისტრო აქტიურ მოლაპარაკებას აგრძელებს გორის რაიონის სოფელ კირბალთან იმავე დღეს დაკავებული ალექსანდრე შიუკაშვილის განთავისუფლების მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით, ცხელი ხაზის საშუალებით, ინფორმირებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „გოგელია ნიცშე არ არის, დიდი გარკვევა სჭირდებოდეს, რა უნდა...“



უმრავლესობის წევრი ლევან ბერძენიშვილი ტელეკომპანია „მაესტროში“ მიმდინარე ცვლილებებს ეხმაურება.

„მაესტრო“, თურმე, შურს იძიებს ყველაზე, ვისაც ევროპასთან ასოცირება გაუხარდა. გოგელია ნიცშე არ არის, რომ დიდი გამორკვევა სჭირდებოდეს, თუ ვინ არის და რა უნდა. სიტყვა „ქართული“ ნიშნავს არაევროპელობას და, შესაბამისად, ეს ნიშნავს პრორუსულობას. გოგელიას ქართული პასპორტიც კი არ აქვს და რუსეთიდან გვასწავლის ქართველობას. ეს ყველაფერი გულისამრევია. ვინ უშლის, გახსნას პუტინის ტელევიზია“, – აცხადებს ბერძენიშვილი. (ნიუპოსტი)

# „სითი პარკიც“ და ნარმანიაც ყელში ამოუვიდათ „მანქნებიან თბილისლებს“




დედაქალაქის მერის, დავით ნარმანიას განცხადებით, „სითი პარკი“ დიდი ხანი ველარ გაჩერდება თბილისში. მალე ვამთავრებთ „სითი პარკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების სამართლებრივ და ფინანსურ ანალიზს და შესაბამის რეკომენდაციებს, რომელსაც ჩვენი დაკვეთით ახორციელებს უცხოური აუდიტორული კომპანია „ერნსტ ენდ იანგი“. მის დასკვნაზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ჩვენი შემდგომი ნაბიჯები. ძალიან კაბალური ხელშეკრულებაა. ერთი რამ, რაც ნამდვილად ვიცით და რაც ყველაზე მძიმეა, ეს არის ავტომანქანების საჯარიმო სადგომზე გადაყვანა. ანუ სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება, რასაც ხშირ შემთხვევაში დამატებითი დისკომფორტი მოჰყვება. ეს ქალაქის ბიუჯეტზე არანაირად არ მოქმედებს, ანუ ის 60 ლარი, რასაც მოქალაქეები იხდიან, ქალაქის ბიუჯეტში არ შემოდის. ის 60 ლარი პირდაპირ „სითი პარკის“ ბიუჯეტში ირიცხება, მხოლოდ 10-ლარიანი ჯარიმის ნაწილი შემოდის თბილისის ბიუჯეტში. ამიტომ ჩვენ „სითი პარკთან“ ძალიან მძიმე საუბარი გვაქვს და ასეთივე ფორმით გაგრძელდება, რომ მივაღწიოთ, რაც სჭირდება ქალაქს“.

რამდენად გულწრფელია დავით ნარმანიას ეს განცხადება? ბოლოს და ბოლოს, როდის უნდა მოაცილონ ეს ხალხის სულთამხუთავი კომპანია თბილისს?

**„ალიას“ თბილისის საკრებულოს წევრი, ალეკო ელისაშვილი ესაუბრა:**

**— ალეკო, ალბათ, გაეცანი დავით ნარმანიას მუქარას „სითი პარკის“ მისამართით. რამდენად სარწმუნოა მისი ეს განცხადება?**

– დავით ნარმანიას მაგ განცხადებას გავეცანი და ერთი შემიძლია ვთქვა – ღმერთმა ქნას, რომ ეგრე მოხდეს, თუმცა, აქვე გავიხსენოთ ისტორია. 22 აგვისტოს შევიკრიბეთ მერიაში „სითი პარკთან“ დაკავშირებით, იქ უნდა გენახათ ნარმანიას მუშტების ბრახუნი და მუქარა კომპანიის წარმომადგენელთა მისამართით. მაშინ ნარმანიამ სექტემბრის ბოლომდე მისცა „სითი პარკს“ ვადა, რომ ახალი წინადადებები და ახალი ხელშეკრულების ვარიანტი წარმოედგინა. 4 თვე გავიდა იმის მერე და ჩამიჩუმი არ ყოფილა ამ საკითხზე. მე შეგნებულად ჩუმად ვიყავი, არ ვერეოდი არაფერში და მაინტერესებდა, რას გააკეთებდა მერია, მოაბამდა თუ არა თავს ამ პრობლემის მოგვარებას. ამის გამო ათასი საყვედური მოვისმინე, რომ აი, ელისაშვილიც „სითი პარკს“ შეეკრა, ფული აიღო და ასეთი სისულელეები. მერე ამოვიღე ხმა და გავმართე წინა კვირას პრესკონფერენცია და ვთქვი, რომ ასე არ შეიძლებოდა და რაღაცა იყო გასაკეთებელი. ჩემს პრესკონფერენციას გამოხმაურება არ მოჰყოლია და ახლა გააკეთა ეს განცხადება ნარმანიამ. ძალიან გამიხარდება, რომ ნარმანიამ „სითი პარკი“ გაუშვას თბილისიდან, მართლა ვგულშემატკივრობ ამ საქმეში, მაგრამ არ ვიცი, რა... ყველა გონივრულ ვადას გასცდა ეს პროცესი, ლამის ნახევარი წელი გავიდა უკვე და „სითი პარკი“ ისე თბილისშია. ნარმანიას ასეც შევუთვალე, ისეც შევუთვალე, ველაპარაკე კიდეც... ვუთხარი, რომ მე ყველაფერზე წავიდოდი, ოღონდ ეს კომპანია გაეშვა თბილისიდან. თუ რამეს თავად ვერ ამბობდა, იმასაც მე ვიტყოდი და გავახმაურებდი, ესეც ვუთხარი. მზად ვიყავი და ახლაც მზად ვარ, ბევრი უხერხულობა მოვუხსნა მერიას, საკუთარ თავზე ავიღო, თუ ასეთია რაიმე. მეტი რა ვქნა ახლა? მე ერთი დეპუტატი ვარ და დავით ნარმანია თბილისის მერია. ყველანაირად დავეხმარები, ოღონდ გაუშვას ეს „სითი პარკი“ თბილისიდან. ახლა, სხვა გზა აღარ დაგვრჩენია, უნდა დაველოდოთ ცოტა ხანს. თუ შეასრულა ნარმანიამ პირობა, მადლობას ვეტყვი, თუ არადა, განახლებული ძალებით უნდა შევუტიოთ „სითი პარკს“.

**— ალბათ, დავით ნარმანიასაც.**

– კი, ცხადია, თუ პირობა არ შეასრულა, მაშინ ნარმანიასაც. მაგას რა ლაპარაკი უნდა.

**— ამ ცოტა ხნის წინ ეჭვი გამოთქვით, რომ მერიასა და „სითი პარკს“ შორის, შესაძლოა, კორუფციული გარიგება არსებობსო. ეს განცხადება ზოგადი შთაბეჭდილების გამო შეგექმნათ თუ კონკრეტული ინფორმაცია გაქვთ მათ შორის კორუფციული გარიგების შესახებ?**

– ისე გაიტრუნნენ, ხმას არ იღებდნენ „სითი პარკის“ შესახებ მერიის ჩინოსნები, რომ ვივარაუდე, კორუფციულ გარიგებასთან ხომ არ გვაქვს საქმე-მეთქი. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე და ეს ასე არ იყოს. ერთი რაღაცა თქვა და მერე ნახევარი წელიწადი გაჩუმდე, ხმა აღარ ამოიღო, ეს ბუნებრივია, უკეთესს არაფერს გაფიქრებინებს, მით უმეტეს, „სითი პარკისა“ და გიგი უგულავას კორუფციული გარიგებების შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა და ამანაც მაფიქრებინა, რომ ამჯერად მერიის ახალ ხელმძღვანელობასთან გარიგდა ეს კომპანია.

**— „სითი პარკის“ შესამოწმებლად მერიამ აუდიტორული კომპანია შეუშვა იმ იმედით, რომ ისინი რაღაც კანონდარღვევებს აღმოაჩენენ კომპანიის მუშაობაში, მერიასა და კომპანიას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში და ამის საფუძველზე გაუწყვეტენ კომპანიას კონტრაქტს. კი, მაგრამ, ამხელა დროისა და ფული დაკარგვას, რასაც ამ აუდიტორულ კომპანიას უხდის მერია, არ სჯობდა, „სითი პარკში“ პირდაპირ ფინანსური პოლიცია შეეყვანათ? მერიას ხომ კონტრაქტის დარღვევისა და „სითი პარკის“ სხვა ფინანსური დარღვევების შესახებაც უამრავი მასალა აქვს და მათ საფუძველზე შეეყვანა კომპანიაში ფინანსური პოლიცია.**

– ვნახოთ, ამ აუდიტორული კომპანიის დასკვნას მეც ველოდები, ეს დასკვნა არ უნდა იყოს „გოდოს მოლოდინი“, უნდა დაადგეს საშველი ამ აუდიტორების მუშაობასაც. თუ მერიას ხელთ აქვს „სითი პარკის“ ისეთი კანონდარღვევების მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზე ფინანსური პოლიციის შესვლა შეიძლება ამ კომპანიაში და ეს დოკუმენტაცია არ გადაგზავნა ფინანსურში, ეს ნარმანიას კიდევ ერთი დანაშაულია. ეს უკვე იმის დასტური იქნება, რომ რაღაც გარიგებასთან გვაქვს საქმე, კორუფციულ გარიგებასთან. მოვიძიებ ერთი, რა დოკუმენტაცია აქვთ ხელთ მერიის მაღალჩინოსნებს. მე არ მჯერა, რომ რაღაცას საკუთარი ნებით გამოასწორებს „სითი პარკი“, იმდენად უსინდისო ადამიანები უძღვებიან, ამ კომპანიას „შეფითილება“ უნდა და რაც შეიძლება დროულად, რადგან „სითი პარკის“ თითოეული დღე თბილისში, თბილისელების ნერვების წყვეტად უჯდებათ და თანაც, სოლიდურ და უკანონო ჯარიმებად. ამ უმსგავსოებას ბოლო უნდა მოეღოს.

**— ალეკო, „დემოგრაფიული განვითარების ფონდის“ დირექტორი, ზვიად ტომარაძე აცხადებს, „სითი პარკს“ უკანონოდ გადაჰყავს მანქანები საჯარიმო ავტოსადგომებზე და ხალხს უკანონოდ ახდევინებს ჯარიმებსო. ტომარაძის თქმით, ამის მიზეზი ის არის, რომ კანონის იმ მუხლში, რომელიც მიტოვებულ ავტომანქანებს ეხება, ბუნდოვანი განმარტებაა. ეს კანონის ბუნდოვანება აძლევს „სითი პარკს“, რომ საჯარიმო ავტოსადგომზე ყაჩაღურად წაიყვანოს მანქანები. ძალიან ბევრი ადამიანი, ცალ-ცალკე ებრძვით „სითი პარკს“ და იქნებ გაერთიანდეთ და ერთად საბოლოოდ შეუტიოთ ამ კომპანიას?**

– კი, თუ დავით ნარმანიამ უახლოეს მომავალში არ გაუუქმა ხელშეკრულება „სითი პარკს“, მაშინ ეგრეც იქნება, ყველა გავერთიანდებით. სხვათა შორის, მეც ვთავაზობდი ამ წინადადებას დავით ნარმანიას, რომ უფრო ნათელი გაეხადა კანონის ეს მუხლი და „სითი პარკს“ იმ მანქანების გატაცების საშუალება არ მისცემოდა, რომლებიც არც საცობებს ქმნიან და მოძრაობას საერთოდ არ აფერხებენ. ასევე, ცალკე თემაა ტროტუარების გადაცემა „სითი პარკისთვის“ და ამაზეც ველაპარაკე ნარმანიას, რომ ტროტუარები ჩამოერთმია მისთვის, დროებით სარგებლობაში გადაცემული ავტოსადგომებიც ჩამოერთმია და უნდა შეგვექმნა არა სასათბურე, არამედ მკაცრი პირობები მისთვის. ამის ნაცვლად კი არც ნარმანიამ და არც სხვამ ხელი არავინ გაანძრიეს და ამასობაში, კიდევ ბევრი ფული იშოვა „სითი პარკმა“ ხალხის ხარჯზე. ვნახოთ ახლა, დაველოდოთ დავით ნარმანიას, ღმერთმა ქნას, შეასრულოს სიტყვა. ზვიად ტომარაძეს რაც შეეხება, მას ვიცნობ, კარგი იქნება, თუ დამიკავშირდება და რითაც შემეძლება, დავეხმარები.

**— არაერთხელ დააანონსეთ, რომ გიგი უგულავასა და „სითი პარკის“ ხელმძღვანელთა კორუფციული გარიგების დამადასტურებელ დოკუმენტაციას დადებდით. ამ მასალებს კონკრეტული ადამიანებისგან ელოდით. ბოლოს და ბოლოს, რა ხდება? რატომ არ მოგცეს ეს მასალები?**

– ძალიან სერიოზული ხალხი დამპირდა მაგ მასალების მომზადებას და გადმოცემას, მაგრამ აღარ მომცეს. ნამდვილად არ ვიცი, რა ხდება. ფაქტია, რაღაც მოხდა, ამ ხალხმა უკან დაიხია და დოკუმენტები აღარ მომაწოდა. ან ზეწოლა იყო მათზე, ან შეაშინეს ან რაღაც ამგვარი მოხდა. სხვა ვერსია არ მაქვს.

**— ან ფული აიღეს „სითი პარკისგან“ და ამიტომ არ მოგცეს ის მასალები?**

– მე არაფერს გამოვრიცხავ. მათი მხრიდან ახსნა-განმარტება არ მოჰყოლია იმ ფაქტს, რომ მასალებს აღარ მაძლევენ. რაღაც რომ მოხდა, ფაქტია. მეც ძალიან არ მივწოლილვარ, რადგან ადამიანი ან ბედავ, ან ვერ ბედავ. ეტყობა, ველარ გაბედეს. არადა, ეს დოკუმენტები რომ მქონოდა ხელთ, უფრო მარტივი გახდებოდა „სითი პარკის“ თბილისიდან გაძევება.

»» ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

## ომბუდსმენი შს მინისტრს მიმართავს



სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართა, პირად კონტროლზე აიყვანოს ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების განმახორციელებელ უფლებამოსილ პირთა მიერ კანონით განსაზღვრული მექანიზმების გამოყენების საკითხი.

„სახალხო დამცველმა მოუწოდა, რომ უფლებამოსილ თანამშრომლებს კიდევ ერთხელ განემარტოთ საკითხის სენსიტიურობა, რათა ყველა ზომა იქნას გამოყენებული საქართველოში არსებული ოჯახში ძალადობის საგანგაშო ტენდენციის შესაჩერებლად.

არაერთი მოწოდების მიუხედავადმ იმის თაობაზე, რომ შესაძლო ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირების დროს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ გამოყენებული ყოფილიყო კანონით გათვალისწინებული დაცვის ღონისძიებები, სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი რიგი შემთხვევებიდან იკვეთება, რომ ხელწერილის გამოყენება კვლავ გრძელდება. ასეთ ფორმას კი საერთოდ არ ითვალისწინებს ძალადობისგან დასაცავად არსებული სამართლებრივი მექანიზმები და ის მხოლოდ დამკვიდრებული პრაქტიკის ნაწილია, რომელიც სრულიად არაეფექტურია.

სახალხო დამცველის შესწავლის შედეგები ცხადყოფს, რომ ხელწერილი ვერ უზრუნველყოფს მსხვერპლის ეფექტურ დაცვას, რადგან არ აქვს ის სამართლებრივი თანამდევი შედეგები, რაც მსხვერპლთა დაცვისთვის შემაკავებელ ორდერს აქვს. ასევე, ვერ უზრუნველყოფს განმეორებითი ძალადობის პრევენციას ან, მომხდარის შემთხვევაში, მოძალადის პასუხისმგებლობის დაყენებას“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „როცა კბილაშვილი მთავარი პროკურორი იყო, არასწორ კანონს უჭერდა მხარს“



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი პროკურატურის რეფორმირებასთან დაკავშირებით არჩილ კბილაშვილის ინიციატივას ეხმაურება.

„მიხარია, რომ ყოფილმა მთავარმა პროკურორმა მოისურვა პროკურატურის ორგანოების რეფორმაზე მუშაობა. როგორც იტყვიან, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, რადგან, როცა ის იყო მთავარი პროკურორი, ჩემი გადასახედიდან არასწორ კანონს უჭერდა მხარს, რომელიც 2013 წლის მაისში მისი ინიციატივით იყო მიღებული. კარგია, რომ მას რეფორმატორულ პროცესში სურს ჩართვა. ჩვენ მას ვიწვევთ 27 დეკემბერს იმ სხდომაზე, რომელზეც პრემიერის დავალებით, მთავრობა იმუშავებს არასამთავრობოებთან ერთად. იმედი მაქვს, რომ ბატონი არჩილი ამ პროცესში მონაწილეობას მიიღებს“, – განაცხადა წულუკიანმა (ნიუპოსტი)

„ალიასთან“ საუბარში რამდენიმე კონფიდენციალური წყარო ადასტურებს, რომ თებერვლის ბოლოდან ქვეყანაში ქაოსი გარდაუვალი იქნება. მთავრობის ეს შემადგენლობა, სავარაუდოდ, შეიცვლება და თუ გაჭირდება პოლიტიკურად, ივანიშვილი მზად არის, ღიად ჩაერთოს პროცესებში.

თავდაცვის მინისტრის, მინდია ჯანელიძის მიმართ დაწყებული კამპანია, რომელიც ერთ კონკრეტულ განცხადებას მოჰყვა, რომ თავდაცვის უწყება უკრაინაში ქართველი ჯარისკაცის გარდაცვალების პასუხისმგებლობას „ნაციონალურ მოძრაობას“ აკისრებდა, შესაძლოა გახდეს ახალი პროცესების დასაწყისი, „რესპუბლიკელების“, ირაკლი ალასანიას „თავისუფალი დემოკრატების“, „ფორუმის“ შტურმი პრემიერ-მინისტრზე, როგორც ჩანს, კონკრეტულ მიზანს ემსახურება. ისინი ახალი პოლიტიკური თამაშებისთვის ნიადაგს ამზადებენ. ერთი რამ ფაქტია, „რესპუბლიკელების“ თავდასხმით განცხადებებს პრემიერ-მინისტრსა და მის გუნდზე, ტენდენციური სახე მიეცა. კოალიციას გამოეთიშა „თავისუფალი დემოკრატები“, ცალი ფეხი გადადგმული აქვს ოპოზიციაში „რესპუბლიკურ პარტიას“ და ისინი გამოიყურებიან „ვანკა-ვსტანკას“ პოზიციაში, ისინი ემიჯნებიან ხელისუფლებას და, ფაქტობრივად, ყველა პასუხისმგებლობას გაურბიან.

კრიტიკული განცხადებებით პრემიერისა და მისი გუნდის მიმართ განსაკუთრებით გამოირჩევა დავით ბერძენიშვილი. შესაძლოა, ადამიანთა ნაწილი ამ კრიტიკას ეთანხმება, რადგან არ შეიძლება ისეთ ღარიბ ქვეყანაში, როგორიც არის საქართველო, მაღალი რანგის ჩინოვნიკებმა პრემიები გაიზარდონ და ხალხს გაუჩინონ წინა ხელისუფლების ნოსტალგია. ეს უკვე ძალიან ცუდის ნიშანია. ასევე, დაუშვებელია ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური წახალისების მიზნით საკუთარ თავსა და სამინისტროს მაღალჩინოსნებს ძვირადღირებულ მობილურებს ჩუქნიდეს. როგორც ბერძენიშვილი აცხადებს, თურმე კონტრაბანდული ახალთახალი ტელეფონები ჩაუჯიბავს ფინანსთა მინისტრს და მისი თანამშრომლებისთვის გაუნაწილებია. ბიუჯეტის ფული არ დაგვიხარჯავს და აუქციონზე ვერ გავყიდეთო. აქაც მართალია ბერძენიშვილი, საქართველოს ჰყავს ფინანსთა მინისტრი, რომელიც სააკაშვილს ტყუილებში უსწრებს, თორემ არ ჩამორჩება, ასეთი უტიფარი ლარიჭამია ხადური, რომელიც უკვე ანეკდოტურ პერსონად იქცა, არ შეიძლება მართავდეს ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სამინისტროს, მაგრამ საზოგადოებამ რა ქნას, როცა ხედავს, რომ არ არის გუნდური თამაში, ხელისუფლება საქმის გაკეთების ნაცვლად, ერთმანეთს ჭამს?

ყველა იბრძვის საკუთარი პარტიული გადასახედიდან და ეს პარტიული ბრძოლა უკვე პარტიულ მაფიას დაემსგავსა. არ არსებობს ხელისუფლებაში კოორდინირებული მოქმედება, ისინი ერთმანეთის და ქვეყნის გულშემატკივრები კი არა, მტრებიარიან. ეს აღარ არის დემოკრატია, დიახ, საქმე გვაქვს პარტიული მაფიების ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლასთან. „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი მინდია ჯანელიძის კრიტიკას არ ეშვება და აცხადებს: „თავდაცვის სამინისტროს განცხადების შემდეგ, მინისტრი, იმის მაგივრად, რომ გამოსულიყო და საზოგადოებისთვის აეხსნა, რატომ დაუშვა ეს შეცდომა, ის არ გამოჩნდა, ჩვენ არ ვიცით, სად არის თავდაცვის მინისტრი, ეს კარგი არ არის. სპეცსამსახურების გამოცდილება თავდაცვის სამინისტროში მომუშავე ადამიანმა გვერდზე უნდა გადადოს. ის ღია სამოქალაქო პირია და უნდა ელაპარაკოს საზოგადოებას. ოფიცრებსა და გენერლებს ისედაც ექნებათ მასთან კითხვები. სპეცსამსახურებიდან რომ კაცი თავდაცვის მინისტრად მიდის, მას განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდება, რომ ნდობა მოიპოვოს...“



# სად არის და რა უპასუხა ბრალდებებზე თავდაცვის მინისტრმა „ალიას“



**„აქ მხოლოდ ჩემზე არ არის ლაპარაკი, თუ ამ ტენდენციას შესაბამისი სახელმწიფოებრივი პასუხი არ გაეცა, ეს ყველაფერი ცუდ ფორმებს მიიღებს“**

თუ დავით ბერძენიშვილს აინტერესებს, სად არის თავდაცვის მინისტრი, დამიკავშირდეს და პირადად ჩავაწერინებ ტელეფონის ნომერს. ამ ხმაურიანი განცხადების შემდეგ მინდოდა, **მინდია ჯანელიძეს** დავკავშირებოდი, მან ჩემს პირველ ზარს არ უპასუხა, მაგრამ შემდეგ როცა სმსით შევატყობინე, ვინ ვიყავი, თავად დამიკავშირდა. მას დავუსვით კითხვა, როდის გააკეთებს ვრცელ კომენტარს მომხდართან დაკავშირებით? თავდაცვის მინისტრმა გვიპასუხა, რომ კომენტარს ალექსანდრე გრიგოლაშვილის დაკრძალვის შემდეგ გააკეთებს, მანამდე კი ის დუმილის უფლებით ისარგებლებს.

**— ბატონო მინდია, თქვენს წინააღმდეგ განცხადებებს უკვე ტენდენციური სახე აქვს, მიზანმიმართული კამპანია მოდის საპარლამენტო უმრავლესობისგან. რა დგას ამის უკან და რით შეიძლება ეს ყველაფერი დასრულდეს?**

– აქ მხოლოდ ჩემზე არ არის ლაპარაკი, თუ ამ ტენდენციას შესაბამისი სახელმწიფოებრივი პასუხი არ გაეცა, ეს ყველაფერი ცუდ ფორმებს მიიღებს. ვიტოვებ უფლებას, ამ საკითხზე დღეს მეტი

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ლიბერთი ბანკმა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა



დღეს ლიბერთი ბანკმა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ფულადი გასაცემლების (ასაკობრივი პენსია, დევნილთა შემწეობა, საარსებო შემწეობა და ა.შ.) დარიგების ახალი ხელშეკრულება გააფორმა. ლიბერთი ბანკს პენსიების და სოციალური შემწეობების გაცემის უკვე ათწლიანი გამოცდილება აქვს. ამ ათი წლის განმავლობაში ლიბერთი ბანკი სისტემატურად აუმჯობესებდა პენსიონერებისა და სოციალური დახმარებების მიმღებთათვის გაწეულ მომსახურებას. 2010 წლიდან მოყოლებული დღემდე ლიბერთი ექსპრეს მობილური სერვისცენტრების რაოდენობა 109-მდე გაიზარდა. ისინი საქართველოს მასშტაბით ყოველთვიურად 2,000-ზე მეტ სოფელს ემსახურებიან და ამ სოფლებიდან ბევრი ისეთია, სადაც არც ერთი სხვა ბანკის სერვისცენტრი არ არსებობს.

მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, 2019 წლის 31 დეკემბრამდე, ლიბერთი ბანკი პენსიონერებსა და სოციალური შემწეობების მიმღებებს საქართველოში ყველაზე ფართო დისტრიბუციის ქსელით მოემსახურება. ლიბერთი ბანკის ქსელი შედგება 500-ზე მეტი ფილიალისა და სერვისცენტრის, 109 ლიბერთი ექსპრეს მობილური სერვის ცენტრისა და 379 ბანკომატისგან. ლიბერთი ბანკი განაგრძობს პენსიონერების მომსახურებას სრულიად უსასყიდლოდ. გარდა ამისა, ლიბერთი ბანკი აპირებს მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ყოველწლიურად საკუთარი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე 5 მილიონი ლარი დახარჯოს და დამატებით სხვადასხვა აქტივობებისთვის 4 მილიონი ლარი გამოყოს.



*მეხუთე გვერდიდან*

არაფერი ვთქვა, გაძლევთ პირობას, რომ რამდენიმე დღეში პირადად თქვენ მოგცემთ ინტერვიუს და ყველა თქვენს კითხვას პასუხს გავცემ...

ჩვენი საუბარი დასრულდა. ვიმედოვნებთ, მინისტრი სიტყვას შეასრულებს. უბრალოდ, გასაკვირი ერთი რამაა, თუკი ჩვენ, „ალიამ“, შევძელით, მინისტრს დავკავშირებოდით, რატომ ვერ მოახერხა ეს საპარლამენტო უმრავლესობამ? როგორც ჩანს, ყველაფერი მარტივად არ არის. ვილაცებს მთავრობის გადაყირავება უნდათ და ეს ვილაცები არიან სწორედ ისინი, ვინც დღეს ყველაზე მეტს პედალირებენ და მოუწოდებენ თავდაცვის მინისტრს, დატოვოს თანამდებობა.

რატომ დაუპირისპირდა უმრავლესობაში შემავალი პოლიტიკური სუბიექტები ირაკლი ღარიბაშვილს? როგორ ხედავენ ექსპერტები მოვლენების განვითარებას, საით მიდის საქართველო? უფრო მეტად გააქტიურდება თუ არა ბრძოლა პრორუსულ და პროქართულ ძალებს შორის?



**„მივმართავ ირაკლი ღარიბაშვილს, ძალიან დიდ შეცდომას დაუშვებს პრემიერი, თუკი ახლა აჰყვება პროპაგანდას და გადააყენებს თავდაცვის მინისტრს. ეს იქნება მისი საკადრო პოლიტიკის მარცხი“**

**„ალიას“ იურისტი და პოლიტიკური ექსპერტი, ვალერი გელბახიანი ესაუბრა:**

**— ბატონო ვალერი, მინდია ძნელიძის გვარი პირველად უარყოფით კონტექსტში ახსენა პოლიტოლოგმა სოსო ცისკარიშვილმა, მან თქვა, რომ მინდია ჯანელიძემ დაურეკა ირაკლი ალასანიას, როცა ის იმყოფებოდა ვიზიტად საფრანგეთსა და გერმანიაში და აწარმოებდა მოლაპარაკებებს იარაღის შესყიდვებთან დაკავშირებით. ცისკარიშვილის ინფორმაციით, სწორედ ჯანელიძემ მოსთხოვა, შეეწყვიტა მოლაპარაკებები. ამის შემდეგ ყველამ ვნახეთ უკვე, რაც მოხდა, დააკავეს ალასანიას თანამშრომლები. თქვენი ინფორმაციით, რა ხდება ჯანელიძის გარშემო, რატომ აუმხედრდა მას უმრავლესობა? ფიქრობთ, რომ ჯანელიძის უკან რუსული კვალი იკვეთება, ამ განცხადებით რუსეთის ინტერესები გაატარა?**

– ტყუილად არაფერი არ ხდება. განცხადება, რომელიც თავდაცვის სამინისტრომ გააკეთა, რა თქმა უნდა, მისაღები არ იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს იყო არაკორექტული განცხადება და თავდაცვის მინისტრისთვის შეუფერებელი, მაგრამ მისი გადადგომის მოთხოვნა და მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება ამ განცხადების გამო, არის უსინდისო მოთხოვნა. ჩემი აზრით, აქ უფრო პოლიტიკური ინტერესები დგას, ის სპექტრი, საიდანაც თავდასხმა მიმდინარეობს, ამ შემთხვევაში მინდია ჯანელიძის პიროვნული ფაქტორი კი არ დგას, არამედ პოლიტიკური ფაქტორი თამაშობს მნიშვნელოვან როლს. კულისებში და უკვე საჯაროდ ყველგან ლაპარაკია იმაზე, რომ ყველგან ინიშნება სანათესაო, პოლიტიკური და პროფესიული ნიშნით კადრების შერჩევა არ მიმდინარეობს, მათ შორის წამყვან სამინისტროებში. სინამდვილეში იგრძნობა მართლა დიდი ბიუროკრატია, სამწუხაროდ, ქვეყანაში პასუხის გამცემი ადამიანი არ მოიძებნება. რამდენი სახელმწიფო ინსტიტუტებთან შეხება მქონდა, იმდენი ვიგრძენი, რომ საქმე მაქვს არაკომპეტენტურ ადამიანებთან, კანცელარიიდან დაწყებული, მინისტრის მოადგილეებით დამთავრებული პასუხის გამცემი არავინ არ არის, ხელისუფლების საკადრო პოლიტიკა არაეფექტურია და ეს მიმდინარეობს 2012 წლის შემოდგომიდან.

პრემიერ-მინისტრს აუცილებლად მოუწევს ახალი წლის შემდეგ ხელახალი საკადრო პოლიტიკის გატარება. არ დაგიმალავთ და ჩემთვის მოულოდნელი იყო, როცა მინდია ჯანელიძე ამ პოსტზე დანიშნა. ეს სახელი და გვარი არაფერს ეუბნება მთელ საქართველოს, არც პოლიტიკოსებს, არც დაინტერესებულ პირებს. მით უმეტეს, როცა ადამიანი კრიზისული მართვის ცენტრის ხელმძღვანელად მუშაობდა, მას უნდა ესმოდეს, კრიზისი რა არის. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ მას ეს საკითხი კარგად არ ესმის, თორემ სხვა შემთხვევაში მისი უწყება ასეთ განცხადებას არ გააკეთებდა. მე მაინც ვთვლი, რომ რაც ჯანელიძის მიმართ მიმდინარეობს, ეს არის პოლიტიკური ანტიპიარი, რათა გამოჩნდეს, რომ ირაკლი ალასანიას გაშვება იყო პოლიტიკური შეცდომა და ახალმა საკადრო გადაწყვეტილებამ ვერ გაამართლა. მე თქვენი გაზეთით მივმართავ ირაკლი ღარიბაშვილს, ძალიან დიდ შეცდომას დაუშვებს პრემიერი, თუკი ახლა აჰყვება პროპაგანდას და გადააყენებს თავდაცვის მინისტრს. ეს იქნება მისი საკადრო პოლიტიკის მარცხი და პირადად მე არ ვურჩევ, რომ ახლა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ანგარიში უნდა გაეწიოს საზოგადოების მოთხოვნას, რადგან ამ შემთხვევაში ეს არის პოლიტიკურად ანგაჟირებული თემა, მინისტრს უნდა მიეცეს საშუალება, თავისი პოზიცია გამოხატოს, ის არ უნდა დაემალოს მედიას, თუკი დაემალება, მაშასადამე ყველა ჩათვლის, რომ ბრალდებები მის წინააღმდეგ სწორია.

**— თქვენი აზრით, პრემიერისა და მისი გუნდის წინააღმდეგ იბრძვიან „ნაციონალები“, „რესპუბლიკელები“, ირაკლი ალასანია და „ფორუმი“, ფაქტობრივად, უმრავლესობა აღმასრულებელი ხელისუფლების განეიტრალების გზით მიდის, რით დასრულდება პროცესები?**

– ღარიბაშვილის გუნდის შიგნით ბოლოს განხორციელებულმა საკადრო წმენდამ თავად პრემიერს საყრდენი ადგილები მოურყია, მას ძალიან გაუჭირდება, ამ ფონზე შეინარჩუნოს ხელისუფლება, როცა ამდენი უკმაყოფილო ადამიანია, ქვეყანაშია ეკონომიკური კრიზისი და თავად ბიძინა ივანიშვილი იძულებული გახდება, ცვლილებები განახორციელოს, რადგან მდგომარეობა თანდათან მძიმდება, ის, რაც საზოგადოებაში უარყოფითი განწყობა გროვდება, აუცილებლად გამოხატულებას იპოვის ქუჩაში და ამ ქუჩის მზადებისთვის თუ დღეს პოლიტიკურმა ძალებმა არ დააფიქსირეს თავიანთი პოზიციები და თუ ამ კონდიციამდე არ მიიყვანეს, რა თქმა უნდა, საარჩევნო მარათონის დროს მათ ხალხი არ დაუჯერებს. ხალხმა რომ დაუჯეროს, საჭიროა ახლა გააქტიურება. ეს ვარიანტი იმუშავებს სტაბილურ ვითარებაში, მაგრამ ახლა ვთქვათ, რა მოხდება არასტაბილურ მდგომარეობაში. მაშინ ამერიკელები და ევროპელები დაეყრდნობიან იმ პოლიტიკურ ძალებს, ვინც მათთვის სტაბილური პარტნიორები არიან. ესენი არიან სწორედ ის ძალები, ვინც ერთხმად ირაკლი ღარიბაშვილს უტევენ და ამით ანახებენ დასავლეთს, მათ აქვთ უნარი, რომ კოალიციის შიგნით ყოფნის დროსაც კი წამოწიონ ის საკითხები, რომლებიც ქვეყნის ინტერესებისთვის არის საკვანძო. ამ პოლიტიკურ ძალებს თავისი მიზანი აქვთ, ისინი შედეგს დღესვე არ ელოდებიან. დღეს არსებობს მითი, გამოვა ბიძინა ივანიშვილი და 180 გრადუსით შემოატრიალებს სიტუაციასო. ეს მითები ამ ქვეყანაში დასრულებულია, ეს იციან კარგად პოლიტიკოსებმა, შეიძლება თავად ივანიშვილი ფიქრობდეს, რომ მისი ერთი გამოსვლა მოსეს კვერთხის ძალის იქნება, მაგრამ მან უნდა იცოდეს, რომ ეს ასე არ იქნება, ნუ აქვს ამის იმედი, ეს არ არის ის ერი, რომელიც მოსეს მიჰყავდა 40 დღე უდაბნოში. ქართველი ხალხი შენ ყოველდღე გთხოვს შედეგს და გახსენებს, შენ ხარ დროებით მოსული და სანამ წახვალ, საქმე გამიკეთე. ერთხელ ინტერვიუში გითხარით და ვიმეორებ, თუ ივანიშვილს აქვს იმის იმედი, რომ კრიზისულ შემთხვევაში გამოყრის ფულს და კიდევ ერთხელ მოახდენს ამ ფულით სიტუაციის მობილიზაციას, მას არ უნდა დაავიწყდეს, რომ სხვებსაც აქვს დიდი ფული, დიდი სახელმწიფოებისთვის კი ეს ფული არაფერს წარმოადგენს, რომ შეცვალოს ხელისუფლება. მაქვს ინფორმაცია, რომ ახალი წლის მერე თებერვლიდან მცდელობა იქნება აქციების ფონის მოსინჯვის, მაგრამ აპრილიდან მაისის ჩათვლით, როგორც ვიცი, აქ ყველაფერი უნდა დასრულდეს...



**„დღეს არსებობს მითი, გამოვა ბიძინა ივანიშვილი და 180 გრადუსით შემოატრიალებს სიტუაციასო. ეს მითები ამ ქვეყანაში დასრულებულია, ეს იციან კარგად პოლიტიკოსებმა, შეიძლება თავად ივანიშვილი ფიქრობდეს, რომ მისი ერთი გამოსვლა მოსეს კვერთხის ძალის იქნება, მაგრამ მან უნდა იცოდეს, რომ ეს ასე არ იქნება, ნუ აქვს ამის იმედი“**

**— რა იგულისხმება „დასრულებაში“?**

– მეტის გაგრძელება აღარ შეიძლება. ალბათ, გადააყენებენ მთავრობას. თუ პოლიტიკური ძალები შეძლებენ მოლაპარაკებას, დაინიშნება არჩევნები, თუ ვერ შეძლებენ, იქნება რევოლუცია...

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...



## კბილაშვილი ხელისუფლებას მთავარი პროკურორის დანიშვნის ახალ წესს სთავაზობს

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ევროპული არჩევანის“ დამფუძნებლის, არჩილ კბილაშვილის განცხადებით, მთავარი პროკურორის დანიშვნაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა უმაღლესმა სახელმწიფო ორგანომ, ხოლო მისი განთავისუფლება უნდა მოხდეს იმპიჩმენტის პროცედურით ისე, როგორც ეს არის დადგენილი უზენაესი სასამართლოს წევრისთვის.

„ხოლო რაც შეეხება რიგით პროკურორს, იქ არის დისციპლინური წარმოების წესები, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ, როდესაც რიგითი პროკურორი არ უნდა გახდეს მთავარი პროკურორის შეხედულების მსხვერპლი. პრაქტიკა მოწმობს, სტატისტიკა ვნახეთ, 2012, 2014 წლებში, 97 პროკურორი და გამომძიებელია საკუთარი განცხადებით წასული სისტემიდან, ეს იმას ნიშნავს, რომ რეალურად დისციპლინური საქმის წარმოება არ მუშაობს და პროკურორს არ აქვს საშუალება, დაიცვას თავი წარმოდგენილი მოთხოვნისგან, ეს უნდა შეიცვალოს, – განაცხადა კბილაშვილმა.

მისივე თქმით, უნდა შეიქმნას საბჭო, დისციპლინური, კოლეგიური ორგანო, რომელიც განიხილავს საჩივარს, სადაც პროკურორს უფლება ექნება, დაიცვას თავისი თავი. (ინტერპრესნიუსი)

## „ციხეებში არავის აღარ სცემენ და აღარ აწამებენ“



სასჯელაღსრულების მინისტრის, გიორგი მღებრიშვილის თქმით, ციხეებში სიტუაცია გამოსწორებულია. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას კონკრეტული პატიმრების მიმართ არაადამიანურ მოპყრობაზე, მინისტრის თქმით, თითოეულ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს.

„ერთი რამ ზუსტად ვიცი, რომ ციხეებში არავის აღარ სცემენ და აღარ აწამებენ. ერთეულ ინფორმაციებზე, რომელიც ვრცელდება, აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები. ჯერჯერობით შედეგი დადებული არ არის. ყველა საქმეს, რომელზეც გამოძიება არ არის დაწყებული, სწავლობს გენინსპექცია. შესაძლოა, ორ ადამიანს შორის ჩხუბი მოხდეს, ეს იქნება თანამშრომელსა და მსჯავრდადებულს შორის, მსჯავრდადებულსა და მსჯავრდადებულს შორის. ამაზე მკაცრი რეაგირება აქვს სამინისტროს“, – განაცხადა მღებრიშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ვის წყევლის ხუბუტია და რა მიზნით იყო ის თბილისში



„დავიფიცებ ხატის წინაშე რომ ეს არის სრული სიცრუე. ალბათ, ღმერთი დაწყევლის იმ ადამიანს, ვინც მოიგონა... საერთოდ, არავითარი კავშირი არ მაქვს და არც მაინტერესებს – ასე ეხმაურება მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენი მიხეილ ხუბუტია მის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც ის ახალი ტელევიზიის „ტვ 8“-ს დამფინანსებელია.

„მე ვერ ვიტყვი, რომ პროვოკაციაა, მაგრამ ვფიცავარ ღმერთს და ვაჟკაცურს სიტყვას გაძლევთ, რომ ეს სრული სიცრუეა, მე მოსკოვში ვარ ახლა. რაულ ქირია არის ჩემი მეგობარი, მაგრამ ეს ინფორმაცია სრული სიცრუეა. ეს რომ გამეკეთებინა, მე ვაჟკაცი კაცი ვარ და თავიდანვე ვიტყოდი. თუ დავაპირებ, ამას წინასწარ ვიტყვი“, – აცხადებს ხუბუტია.

რაც შეეხება მისი თბილისში ყოფნის მიზანს, ხუბუტია ამბობს, რომ მას საქართველოსთან მიმართებაში არავითარები გეგმები არ აქვს, „ვისაც რამე შემიძლია, იმათ ვეხმარები, მე მოვინახულე ახლობლები და წამოვედი რუსეთში“, – აცხადებს ხუბუტია. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# გიორგი ბურჯანაძე: „ჩვენი თანამშრომელი შეეცადა, ნიმუში აეღო მშენებლობიდან და იქიდან გამოაძევეს“

## რამდენად ხარისხიანია თბილისში მშენებარე ბინები?

**უნდა ვენდოთ თუ არა თბილისში დღეს მიმდინარე მშენებლობებს? რატომ გამოცხადდება 30 წლის შემდეგ ქალაქი ავარიულად? რას აკეთებს მერიის ზედამხედველობის სამსახური?**

**„ალიას“ ესაუბრება ორგანიზაცია „ანტიკორუფციული სამსახურის“ ხელმძღვანელი გიორგი ბურჯანაძე.**

– რამდენიმე წელია, ჩვენს ორგანიზაციას მშენებლობასთან დაკავშირებით აქვს ურთიერთობა შესაბამის ექსპერტებთან და ყველა აღნიშნავს, რომ მთელ საქართველოში მიმდინარე მშენებლობები აბსოლუტურად არ აკმაყოფილებს სამშენებლო ხარისხს. გავიხსენოთ ეკონომიკის მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადება, დროა, მორჩეს საქართველოში უხარისხო მშენებლობებიო. მას მხედველობაში ჰქონდა ის უამრავი კორპუსი, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე შენდება. წლებია, ვხედავთ სურათს, რომ აშენდა ადამიანი ყიდულობს ბინას და არ იცის, რას.

**— რა საბაბით გამოაძევეს მონიტორინგის წარმომადგენელი? რა უთხრეს?**

– გვითხრეს, რომ ეს კერძო



ობიექტი, მოხდა მიღება-ჩაბარება, შესახლდნენ ადამიანები და კორპუსს სულ მალე უჩნდება ბზარები. ანუ, სამშენებლო სტანდარტები ძალიან ხშირად დარღვეულია, მხედველობაში მაქვს ბეტონის მარკის სიმკვრივე.

**— შეგიძლიათ, კონკრეტული მაგალითი მოგვიყვანოთ?**

– კი, ბატონო. ორი კვირის წინ თბილისში გვქონდა შემთხვევა, როცა საბურთალოზე, „გუდვილის“ გვერდზე, ქავთარაძის ქუჩის დასაწყისში მივადექით სამშენებლო კომპანიას, რადგანაც ინფორმაცია მოვიდა, რომ იქაური მშენებლობა სტანდარტებს არ აკმაყოფილებდა, ნორმები არ იყო დაცული. ჩვენი თანამშრომელი შეეცადა, ნიმუში აეღო მშენებლობიდან და ამ დროს ობიექტის წარმომადგენელმა დაურეკა საპატრულო პოლიციას და ჩვენი მონიტორინგის წევრი იქიდან გამოაძევეს. ამ დროს თავად მოგვმართა ერთ-ერთმა მომავალმა მობინადრემ და გვითხრა, რომ 70 000 ევროს იხდიდა და აინტერესებდა, რეალურად რა სტანდარტს აკმაყოფილებდა ბეტონი. ჩვენი წარმომადგენელი ობიექტზე არავინ შეუშვა. გამოდის, საკუთრებაა და შემოსვლა არ შეიძლებაო. მაგრამ როცა დაინტერესება მოდის კლიენტისგან, რა უშლის ხელს, რომ გაიგოს, რა მასალით ხდება მშენებლობა? სამწუხაროდ, მერიის ზედამხედველობის სამსახურის მოვალეობა შემოისაზღვრება იმით, რომ ისინი ვიზუალური შემოწმებით კმაყოფილდებიან და იქ წარმოებული სამშენებლო სამუშაოები ვინ უნდა აკონტროლოს, გაუგებარია. პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები, მშენებლობის ექსპერტები გვეუბნებიან, რომ დაახლოებით 30 წელიწადში, თბილისი ავარიულ ქალაქად გამოცხადდება, ასეთი მშენებლობების გამო.

ისევ ქავთარაძის ამბავს დავუბრუნდები. ნებისმიერ ადამიანს მაღაზიაში თუ შეუძლია, მივიდეს და პროდუქტზე მოიკითხოს სერტიფიკატი, მყიდველს რატომ არ აქვს უფლება, ნიმუშის დახმარებით შეამოწმოს სახლი, ამის შემდეგ რომ მიიღოს გადაწყვეტილება, ულირს თუ არ ულირს? ამ დროს მშენებლები ამ თავისი ქმედებით გეუბნებიან, რას კითხულობ ხარისხს, მოდი და იყიდეო.

**— ქართველები აშენებენ ამ სახლს?**

– კარგი გამახსენეთ. აქ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ამ მშენებლობებში მონაწილეებად არიან უცხოელები, რომლებიც აქ კაპიტალდაბანდებებს ახდენენ, ესენი არიან ირანელები, თურქები, აზერბაიჯანელები და ამ მშენებლობებზე იგნორირებულია ჩვენი მუშების უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. თავად იმ მშენებლობაზე, რაც თქვენთან საუბარში ვახსენე, 70%-იანი წილის მფლობელია ირანელი მოქალაქე, ხოლო 30%-იანი წილი – ქართველებისაა, ესაა „ამხანაგობა ქავთარაძე 1, 2007“. ზოგადად, ხდება ასე, რომ ეს უცხოელები ჯდებიან თვითმფრინავზე და ქრებიან, კაციშვილი ვერ ნახულობს. უამრავი მაგალითი გვაქვს ამისა და ამ მშენებლობებზე არ უნდა დუმდეს არც ჩვენი საკრებულო და არც მერია, მაგრამ, ჩემი აზრით, მათი კორუფციული ინტერესებიც არის ჩადებული ამ საქმეში, მერიის თანამშრომლები, ჩინოვნიკები მყავს მხედველობაში, არანაირი პრობლემა არ აქვთ და ხალხის ბედი მათთვის მეორეხარისხოვანია. ძალიან ცუდი ტენდენციაა და ცუდი მიმართულებით მივდივართ. არადა, ეს ყველაფერი ხელისუფლებას შეუქმნის დიდ პრობლემებს როცა იქნება, და მერე დაიწყონ ლაპარაკი: მე მაშინ არ ვიყავი და მაშინ ასე კეთდებოდაო, ანუ ჩვეულებრივი პოლიტიკური სიმღერები იქნება, რაც არაერთი მოგვისმენია, რომ ეს იყო შევარდნაძის პერიოდის დანაშაული, სააკაშვილის პერიოდის, მერე იტყვიან, „ოცნების“ დროინდელიო და ასე შემდეგ. ამ დროს პრობლემაა, ხალხო, სერიოზული პრობლემა! დღეს ყველა მშენებლობა მშენებლის კეთილ ნება-სურვილზეა დამოკიდებული, რამდენად ხარისხიან ობიექტს ჩააბარებს მომხმარებელს. რადგანაც ეს თემა დახურულია და რადგანაც თავად ბიზნესი საკმაოდ მომგებიანია, ვინც ფული იშოვა უცხოელმა, ისინი შემოდიან და იწყებენ აქ მშენებლობებს.

ვიმეორებ, ჩემი აზრით, ზედამხედველობის სამსახური ლობირებს ამ მშენებლობებს, თავად თემა კი დღეს მიშვებულია და ვიღაც-ვიღაცებს ამასობაში ფულს აკეთებინებენ, მერე ამ ფულებს ჯიბეებში ჩაიდებენ. უცხოელები კი მობილიზებულები არიან, რომ ამოქაჩონ თავიანთი ფულები, გაიმზადონ ჩემოდნები და გაიქცნენ საქართველოდან. ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ მათ თავის ქვეყანაში ამის უფლებას ხელისუფლება არ მისცემთ, მათ სახელმწიფოებში ამდაგვარი საქმიანობისთვის ფინანსური სანქციებიც არსებობს და საკანონმდებლო სანქციებიც და თუ უხარისხო შენობა დამტკიცდება, კიდევაც დაიჭერენ ამ ადამიანებს, ანუ მათი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, ნორმალურ ქვეყნებში ასე ხდება.

**— თქვენ მიერ წამოწეული საკითხი ეხება თუ არა საკრებულოსაც?**

– პირდაპირ ეხება და პირდაპირი განცხადებებიც გავიგონეთ საკრებულოდან, ელისაშვილი ამას აკეთებს და მისი იმედი გვაქვს. სხვათა შორის, ჭიაბერაშვილმაც წამოწია ერთხელ ეს თემა. მერად დანიშნეს თუ არა, მაშინვე თქვა, ისეთი უხარისხო საშენი მასალებია, ეს თავზე დაგვენგრევაო, მაგრამ ეს თემა ჭიაბერაშვილს მერე არ გახსენებია, რადგანაც ეტყობა, თავში ჩაარტყეს და გააჩუმეს. კიდევ ერთი რამ უნდა ვთქვა: კომუნისტების დროს არსებობდა გეოლოგიური სამსახური, რომელიც წინასწარ ზვერავდა, შეიძლებოდა თუ არა, ამა თუ იმ ადგილას სახლის აშენება. მაგალითად, საირმეზე ქანებია შესწავლილი და ცნობილი იყო, რომ მაღალი შენობები არ უნდა აშენებულიყო, იმიტომ იყო, რომ იქ კერძო სახლები აშენდა.

**— ახლა რა ხდება?**

– ახლა კითხვა ისმება: ფული გაქვს? თუ გაქვს, მიდი და ათსართულიანი სახლი ააშენე, დაინგრევა? მთავარია, შენ ფული ხომ გააკეთე? არადა, ვიმეორებ, ჯერ გეოლოგები სწავლობდნენ ნიადაგს, ახლა, ზოგადად, ჯერ მიწას ყიდულობს ინვესტორი და მერე უნდა გაარკვიოს, შეიძლება, თუ არა იქ მაღალი სახლის შენება და თუ არ შეიძლება, მაინც ააშენებს, ფული აქვს გადახდილი.

ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ გადავწყვიტეთ, დავკავშირებოდით „ამხანაგობა ქავთარაძე 1, 2007“-ს, რათა გაგვერკვია, ნამდვილად ჰქონდა თუ ადგილი ობიექტიდან „ანტიკორუფციული კავშირის“ წარმომადგენლის პატრულის დახმარებით გამოძევების ფაქტს და, თუ აქვს უფლება კლიენტს, სამშენებლო მასალის სინჯი აიღოს საკუთარი მშენებარე სახლიდან?

**მოკლედ, კომენტარისთვის ვუკავშირდებით ამხანაგობის წარმომადგენელს კოტე ჩაჩანიძეს:**

– სურვილი არ მაქვს.

**— ბატონო?**

– თქვენ პატივს გცემთ, როგორც ჟურნალისტს, მაგრამ სურვილი არ მაქვს გიპასუხოთ ამ თემაზე, მაგისი უფლება მაქვს.

**ამის შემდეგ ჯერ დავრეკე, მაგრამ რომ არ მიპასუხა, მივწერე მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს, მაგდა პოპიაშვილს, რომ ზედამხედველობის სამსახურთან დაკავშირებით კრიტიკულ გამონათქვამებზე კომენტარი გვინდოდა. თათბირზე ვარ და 15 წუთში დაგიკავშირდებითო. ნახევარი საათის შემდეგ კვლავ ვწერ მესიჯს: „მასალა მიგვიანდება და როგორ მოვიქცე“? სამწუხაროდ, მერიიდან ამაზე პასუხი უკვე აღარ მიმიღია.**

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...



### რა გაუხსენა ქართული ლეგიონის ხელმძღვანელმა ირაკლი ალასანიას

უკრაინაში ქართული ლეგიონის ხელმძღვანელის მამუკა მამულაშვილის თქმით, ირაკლი ალასანიამ თავდაცვის მინისტრად მოსვლის შემდეგ ბევრ ვეტერანს თანამდებობა დაატოვებინა.

„ალასანიას მინდა ვუთხრა, რომ ის არის პიროვნება, რომელმაც თავდაცვის მინისტრად მოსვლის პერიოდში, თანამდებობა დაატოვებინა არაერთ ვეტერანს. სწორედ მისი მოღვაწეობის ჟამს წამოვედი მეც თავდაცვის სამინისტროდან“, – განაცხადა მამულაშვილმა. (ნიუპოსტი)

### სარეაბილიტაციო სამუშაოს დროს მუშა დაიღუპა




თბილისში, ბურძგლას ქუჩაზე, საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოს დროს, უბედური შემთხვევის შედეგად, მუშა გარდაიცვალა. არსებული ინფორმაციით, მუშა თხრილში ჩავარდა. გარდაცვლილის ოჯახს სამძიმარს უცხადებს თბილისის მერი დავით ნარმანია.

„საგზაო სამუშაოების დროს სამწუხარო ფაქტი მოხდა. კონტრაქტორი კომპანიის ერთ-ერთი თანამშრომელი დაიღუპა. მინდა მივუსამძიმრო გარდაცვლილის ოჯახს. ცუდი ფაქტი მოხდა, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ყოველთვის ფხიზლად იქნებიან ის ადამიანები, რომლებიც მუშაობენ, რათა მსგავსი ფაქტი აღარ განმეორდეს“, – განაცხადა ნარმანიამ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### საპატრიარქოში წმინდა სინოდის სხდომა გაიმართა




საქართველოს საპატრიარქოში წმინდა სინოდის სხდომა გაიმართა. წილკნის მიტროპოლიტის, ზოსიმეს განცხადებით, წმინდა სინოდის სხდომაზე სხვადასხვა საკითხებზე იმსჯელეს, მათ შორის ეკუმენიზმზე და სხვადასხვა ქრისტიანულ კონფესიასთან დამოკიდებულებაზე.

„ეკლესიის საკითხები განვიხილეთ, ისეთი არაფერი – ეკლესიის დამოკიდებულება ეკუმენიზმთან, ეკუმენისტურ მოძრაობასთან, ასევე ეკლესია და სხვა ქრისტიანული კონფესიები, მათთან ურთიერთობები და ა.შ.“ – განაცხადა მეუფემ.

მისივე თქმით, არქიმანდრიტ დიმიტრი თეთრუაშვილის საკითხის განხილვა სხდომაზე გადაიდო. გავრცელებული ინფორმაციით, არქმანდრიტი დიმიტრი ჰერეთის ეპისკოპოსად უნდა ეკურთხათ.

სინოდის სხდომის განჩინების სრულ ტექსტს პატრიარქის ქორეპისკოპოსი გამოაქვეყნებს. სინოდის სხდომას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე უძღვებოდა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საუდის არაბეთი მზადაა, ნავთობი 20 დოლარადაც გაყიდოს



საუდის არაბეთის ნავთობის მინისტრი ალი ალ-ნუამი აცხადებს, რომ „ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია“, მიუხედავად ნავთობის ფასის კლებისა, არ აპირებს ნავთობპროდუქტების მოპოვების შემცირებას.

მისი განცხადებით, საუდის არაბეთს და არაბულ სამყაროს შეუძლია, გაუძლოს ამ პროცესს და მათ ინტერესებში არ შედის ნავთობმოპოვების შეწყვეტა, რადგან ამით ისარგებლებენ მათი კონკურენტი ქვეყნები.

„ჩვენ არ შევწყვეტთ მოპოვებას იმ შემთხვევაშიც კი, ფასმა 50, 40 და 20 დოლარიც რომ შეადგინოს. ნავთობის ფასი 100 დოლარი შესაძლოა აღარასოდეს გახდეს, ხოლო ჩვენ რომ შევაჩეროთ წარმოების პროცესი, ამით ისარგებლებენ რუსები, ბრაზილიელები და ჩვენს მოგებას წაიღებენ. ჩვენ ვაჩვენებთ მსოფლიოს, რომ მხოლოდ მაღალტექნოლოგიური მომპოვებლები შეინარჩუნებენ ადგილს მსოფლიო ნავთობის ბაზარზე“. – აცხადებს მინისტრი.

როგორც ჩანს, საუდის არაბეთი, ფაქტობრივად, არის ნავთობზე ფასების მორიგი დაცემის მთავარი ლოკომოტივი. შეგახსენებთ, რომ არაბულ სამყაროში ნავთობის მოპოვების თვითღირებულება 4-5 დოლარს შეადგენს. (ნიუპოსტი)

# რას მოგვიტანს გაეროს მხარდამჭერი რეზოლუცია?

22 დეკემბერს ლიტვის, შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლებმა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ოკუპირებულ აფხაზეთსა და რუსეთს შორის გაფორმებული ე.წ. „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ შეთანხმება დაგმეს. საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა იმავე დღეს გამოხატა მადლიერება და გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებულ მხარდაჭერას მიესალმა:

„იმ რთულ ვითარებაში, როდესაც საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებულია, ასეულ ათასობით მოქალაქე ლტოლვილია, მოცემულ რეალობაში უაღრესად მნიშვნელოვანია ის მხარდაჭერა, რომელსაც გაეროს უშიშროების საბჭოს წევრები გამოხატავენ“.

რა ფასი აქვს დღეს ამ დაგმობას? უკვე მერამდენე რეზოლუციაა, რომელსაც არაფერი მოაქვს ჩვენთვის?

**„ალიას“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრა:**



– პოლიტიკაში მთავარია შედეგი. იმან ეს დაგმო, ამან ეს განაცხადა, ეს ყველაფერი ლირიკაა. აქ შედეგი არაფერი არ იქნება. ახლა გაერომ დაგმო იმიტომ, რომ მსოფლიოს ყველა წამყვანმა სახელმწიფომ დაგმო. ამის შემდეგ ჩვენ არც გვცივა, არც გვცხელა, შედეგი ნულია. გაერომ და მთელმა მსოფლიომ დაგმო თავის დროზე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარება რუსეთის მხრიდან, რა შეიცვალა? იმის მერე გავიდა 6 წელი. მე ასეთ რაღაცებს უკვე ყურადღებას არ ვაქცევ და არც ვიმახსოვრებ, ეს დაგმობაც, უბრალოდ, საარქივო მასალაა, ალბათ, გაეროს არქივში შეინახავენ კარგად. ჩვენ უნდა მივეჩვიოთ და ვისწავლოთ, როგორც პუტინი ამბობს, კატლეტი ცალკე, ბუზები – ცალკე, ანუ ერთმანეთისგან განვასხვავოთ ბიუროკრატიული რეზოლუციები და საქმიანი წინადადებები.

სამწუხაროდ, ჩვენ ხშირად ვართ აყოლილი ამ განცხადებებს. სხვათა შორის, ბევრმა არ იცის, რომ საქართველოზე გაცილებით ადრე ამერიკამ პარტნიორობის ხელშეკრულება გააფორმა ნაზარბაევთან, ყაზახეთთან. ეს ფაქტი შეუმჩნეველი დარჩა, მაგრამ როცა ჩვენთან იგივე ხელშეკრულება გაფორმდა, ამას ისეთი ზარ-ზეიმი მოჰყვა, ლამის დაინგრა ქვეყანა. წელს პარტნიორობაზე უარი გვითხრეს – აი, შედეგი, ავიტაცებთ რაღაც დაგმობებს და ამ დროს გაერო ლაპარაკობს სხვა რაღაცაზე, ანუ იღებს ისეთივე რეზოლუციას, რომლის მსგავსიც მილიონ სამასი ათასი აქვს მიღებული და აღარავის ახსოვს, არც გაეროს გენერალურ მდივანს და არც გაეროს არქივარიუსს.

**— ბატონო სოსო, ჩვენ რომ გვაბოლებენ, ეს გასაგებია, მაგრამ თვითონაც ხომ იციან გაეროში, რომ აზრი არ აქვს მსგავსი რეზოლუციების მიღებას? რატომ ინახავს მსოფლიო ასეთ ქმედითუუნარო ორგანიზაციას?**

– ეს რიტუალია, ჩვენ აღდგომის დღესასწაულსაც ვზეიმობთ, მაგრამ რამდენს სწამს საქართველოში, რომ მართლა აღდგა ქრისტე? ბევრს არ სწამს, მაგრამ მაინც ზეიმობს და კვერცხებსაც ღებავს. ეს მხოლოდ რიტუალია, ამაში ფულს იღებენ და ჩვენც უნდა შევეგუოთ, სხვა რა გზა გვაქვს? თუ დიდი პოლიტიკა გვინდა, უნდა ვიყოთ რეალისტები... თუ ფოლკლორით და ლირიკით ვართ გატაცებული, ეს სხვა საკითხია.

**— არც მარგველაშვილმა იცის, რომ ატყუებენ?**

– ახლა, მარგველაშვილს შეუძლია, პრემიებიც დაურიგოს იმ თანამშრომლებს, რომლებსაც ეს დაგმობა ძალიან მოეწონათ. კი, ბატონო, დაურიგოს, ჩვენ რა ხეირი? არაფერი!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

# ვის და რატომ არ მოუხდის ბოდიშს მურმან დუმბაძე?

**„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ პარლამენტის ვიცე-სპიკერ მურმან დუმბაძეს სასამართლო პროცესი მოუგეს. ორგანიზაციის ხელმძღვანელის, არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, „სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მურმან დუმბაძის ყველა განცხადება, რომელიც მან „ახალგაზრდა ადვოკატების“ მისამართით „აჭარის ტელევიზიისა“ და გაზეთ „აჭარის“ მეშვეობით გააკეთა, ცილისწამებას წარმოადგენდა. შესაბამისად, დუმბაძეს ორგანიზაციის მისამართით გაკეთებული განცხადებების, როგორც ცილისწამების უარყოფა დაევალა. ამისთვის დუმბაძეს ერთი თვის ვადა მიეცა. თუ მურმან დუმბაძე ამ მოქმედებებს არ განახორციელებს, აღსრულების პროცედურასთან დაკავშირებული ხარჯების გაღება მას დაეკისრება“.**

**რას აპირებენ „ახალგაზრდა ადვოკატები“, თუკი დუმბაძე ბოდიშს არ მოიხდის? რა ხარჯების გაღება მოუწევს პარლამენტის ვიცე-სპიკერს და აპირებს თუ არა ბოდიშის მოხდას?**

**„ალია“ „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელს არჩილ კაიკაციშვილს ესაუბრა.**

**— არჩილ, სასამართლომ თქვენს სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება, ახლა სამართლებრივად რა პროცესი იწყება?**



– საქმე ეხება ორგანიზაციის მიერ გაჟღერებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც პარლამენტის ვიცე-სპიკერი ერეოდა ავტონომიური რესპუბლიკის საქმიანობაში. კანონით, მურმან დუმბაძეს ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა, მან უკარნახა ავტონომიური რესპუბლიკის წევრებს, როგორ მოქცეულიყვნენ და რა პოლიტიკური გადაწყვეტილებები უნდა მიეღოთ. როცა ორგანიზაციამ შეაფასა ვიცე-სპიკერის მოქმედებები და თქვა, რომ მურმან დუმბაძის დამოკიდებულება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასაც კი შეიცავდა, ის გამოვიდა აჭარის ტელევიზიით და თქვა, ახალგაზრდა ადვოკატები წერა-კითხვის უცოდინრები არიან, კონსტიტუცია არ იციან და დავალებებს ხელისუფლებისგან იღებენო. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ჩვენს სასარგებლოდ და ჩვენი სარჩელის საპასუხოდ წარმოადგინა შესაგებებელი სარჩელი, სადაც აღნიშნა, რომ მოქმედებდა აზრისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. სასამართლომ დუმბაძის სარჩელი დაუშვებლად ცნო. სასამართლოს გადაწყვეტილებით, დუმბაძემ იგივე მედიასაშუალებით უნდა მოახდინოს უარყოფა.

**— დუმბაძეს ხარჯების დაფარვა მოუწევსო. რა ხარჯებზეა საუბარი?**

– ასეთი სპეციფიკური ხასიათის ინფორმაცია სარეკლამოა, ამიტომ მისი ღირებულება იქნება ის ხარჯი, რომელიც უნდა გადაიხადოს დუმბაძემ. დაახლოებით 5 ათასი ლარი ღირს 2-წუთიანი განცხადების გაკეთება. ამ თანხას დაემატება სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით. რახან ბოდიშის მოხდას არ ითვალისწინებს კანონი, განცხადების გაკეთება მოუწევს.

**რას აპირებს ვიცე-სპიკერი, უარყოფს თუ არა საკუთარ ნათქვამს?**

**— ბატონო მურმან, რას აპირებთ?**

– სასამართლოს დოკუმენტაციას ჯერ არ გავცნობივარ, თუმცა ვიცი, რომ სასამართლომ მიიღო ჩემგან



დამოუკიდებელი გადაწყვეტილება. მე მაცნობეს, რომ სასამართლო იღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას და ითხოვს ბოდიშს. მე არ ვაპირებ პოლიტიკური განაცხადის გამო ბოდიშის მოხდას?

**— 5 ათასი ლარის გადახდა რომ მოგიწევთ?**

– ცოტა მოუმატონ, ეგ ცოტაა. სამარცხვინო და სასაცილოა ეს. „ახალგაზრდა ადვოკატებს“ უნდათ, თავი დაიმკვიდრონ, თორემ მე ასეთ ორგანიზაციას არ ვიცნობ. საქართველოს პრემიერ-მინისტრი დღეში სამჯერ აკეთებს განაცხადებს არასამთავრობოების მისამართით, რომელმა უჩივლა? პრემიერის განაცხადი მათაც ხომ ეხებოდათ? ახლა ჩემით უნდათ პიარის გაკეთება. დაბალ ღობედ ნუ ჩათლით მურმან დუმბაძეს, ცოტა მეტი მიკეთებია პოლიტიკაში, ვიდრე ამ ადვოკატებს. გააგრძელონ პროცესი, მე არ ჩავერევი, მაგრამ პოლიტიკური განცხადების გაკეთების უფლება უნდა მქონდეს, როგორც პარლამენტის წევრს.

**— გაასაჩივრებთ ამ გადაწყვეტილებას?**

– ჯერ დოკუმენტაციას გავეცნობი. შესაგებებელს შევიტან, მაგრამ ესეც „ახალგაზრდა ადვოკატების“ ინტერესებში შედის. მიზანი მიღწეულია, უკვე ჟურნალისტებმაც აიტაცეთ ეს თემა.

**ამის შემდეგ „ალია“ კაიკაციშვილს ისევ დაუკავშირდა:**

**— დუმბაძე არ აპირებს ბოდიშის მოხდას. რას აპირებთ?**

– თუ არ აღასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, წარმოდგენილ ხარჯებს წარვუდგენთ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, ის მიმართავს პარლამენტს და დუმბაძეს ან დაუყადაღდება ქონება, ან სხვა გზით ამოვიღებთ ამ ხარჯებს, თუნდაც იმით, რომ ხელფასიდან ჩამოეჭრება გადასახდელი თანხა.

ჟანა ასანიძე
568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „თავდაცვის სამინისტროს სამარცხვინო განცხადებაზე პასუხისმგებლობა მმართველმა გუნდმა აიღო“



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ზურაბ ჭიაბერაშვილი თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის დახურვის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამარცხვინო განცხადებაზე პასუხისმგებლობა მმართველმა გუნდმა სრულად აიღო.

ჭიაბერაშვილმა აღნიშნა, რომ მათ სურდათ, მოესმინათ თავდაცვის მინისტრის მოადგილისგან, რატომ მოხდა საკითხის პოლიტიზება და ვისი ინიციატივით გავრცელდა აღნიშნული განცხადება.

„აღნიშნულთან დაკავშირებით მათი ყოველი მომდევნო განცხადება და განმარტება კი კიდევ უფრო სამარცხვინო ხდება. ხელისუფლება მოწოდებულია არა იმისკენ, რომ დაიცვას ქვეყნის თავისუფლება და სუვერენიტეტი, არამედ იმისთვის, რაც შეიძლება მეტად ასიამოვნოს ვლადიმერ პუტინსა და ბიძინა ივანიშვილს“. – განაცხადა ჭიაბერაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ომბუდსმენი მამაკაცებისთვის ბავშვის მოვლის შვებულების დარეგულირებას მოითხოვს



ომბუდსმენი მამაკაცებისთვის ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის საკითხის დარეგულირების თხოვნით ჯანდაცვის მინისტრს მიმართავს.

„საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, შემუშავდეს შესაბამისი ცვლილებები საჯარო მოსამსახურეებისა და დასაქმებულთათვის ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარებისა და კომპენსაციის დანიშვნის დაანგარიშებისა და გაცემის საკითხის საქართველოს შრომის კოდექსთან და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. კერძოდ, აღნიშნული უფლებით მამაკაცების მიერ სარგებლობის საკითხის დასარეგულირებლად.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიმართავენ მამაკაცები, რომლებიც დაბრკოლებებს აწყდებიან დამსაქმებლებთან ურთიერთობისას საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლით გარანტირებული უფლების – ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებით.

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს ბრძანება გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს მამაკაცებს, ისარგებლონ ანაზღაურებადი შვებულებით ბავშვის მოვლის გამო. კერძოდ, ბრძანების მიხედვით, შვებულების თანამდევი კომპენსაციისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია გაიცემა მხოლოდ ქალზე და მხოლოდ მისი გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახის სხვა წევრზე. მაშინ როცა საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის მიხედვით, გარანტირებულია აღნიშნული უფლებით სარგებლობა დასაქმებულთათვის მათი სქესის მიუხედავად“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

# ომბუდსმენის ოფისს ნეპოტიზმში ადანაშაულებენ

სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ციხეების მონიტორინგის ჯგუფი არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ ხელმძღვანელმა ირაკლი ვაჭარაძემ დატოვა. „არავითარი გამჭვირვალობა არ არის. არავითარი სისტემა არაა შემუშავებული. ეს, ბუნებრივია, აჩენს შესაძლებლობას, რომ სახალხო დამცველის ასეთი მნიშვნელოვანი ფუნქცია კორუფციას, ნეპოტიზმსა და გაუმჭვირვალობას ემსხვერპლოს. რაც ნაკლებად ცნობილ და კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანს ექნება წვდომა ციხესთან, ალბათ, ასე უფრო ურჩევნიათ. დარჩება მონიტორინგში მხოლოდ ის ხალხი, ვინც მათი ნათესავია, ან მეგობარი, ან ახლობელი, ან უბრალოდ მორჩილი და ჩუმი. საზოგადოებრივი ინტერესები კიდევ ერთხელ დაზარალდა“. – ამბობს ვაჭარაძე.



კონკრეტულად რა შეზღუდვებს უწესებდნენ მონიტორინგის ჯგუფის წევრებს? რაში გამოიხატება ნეპოტიზმი ნანუაშვილის უწყებაში?

**„ალიას“ ირაკლი ვაჭარაძე ესაუბრა:**

– მე ვარ პრევენციის სპეციალური მექანიზმის წევრი და მაქვს უფლება, შევიდე ციხეში. ეს კანონშიც წერია. ამის მიუხედავად, ჩვენ არ გვეძლეოდა ამის შესაძლებლობა და ეს პრობლემა იდგა მუდმივად. გარდა ამისა, ჩვენი მისამართით, საყვედურს გამოთქვამდა პრევენციის ეროვნული მექანიზმის ხელმძღვანელი, ბატონი ნიკა კვარაცხელია. მე, ნაზი ჯანეზაშვილმა და მაკა ჯიშკარიანმა გამოვხატეთ პოზიცია, რომ უნდა არსებობდეს საზოგადოებრივი მონიტორინგი ქვეყანაში. ამის გამო გვისაყვედურეს და დაგვტუქსეს, რა უფლებით ამბობთ ასეთ რამეს, ეს ჩვენს იმიჯს ლახავსო. არა და ჩვენ ისინი არ გაგვიკრიტიკებია.

**— ნეპოტიზმზე საუბრობდით, ამის დამადასტურებელი ფაქტები არსებობს?**

– ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ ექსპერტები, რომლებიც მიჰყავდათ ციხეებში ვიზიტებზე, შეირჩეოდნენ ნეპოტიზმის გზით. ახლობლები მიჰყავდათ, წერილი მივწერე და მოვითხოვე, ეჩვენებინათ, ვინ რამდენჯერ იყო ციხეში ფასიან და უფასო მონიტორინგზე. არ მოგვცეს სია, მერე კიდევ ერთხელ მივმართე, მაინც არ მოგვცეს და უკვე შეხვედრაზე, სადაც სახალხო დამცველიც მონაწილეობდა და პირდაპირ დაისვა კითხვები, აღმოჩნდა, რომ მე მხოლოდ ერთხელ ვიყავი შეშვებული ციხეში, მას შემდეგ რაც ნიკა კვარაცხელია გახდა უფროსი, ნაზი ჯანეზაშვილი სამჯერ და თამარ გაბიანი 20-ჯერ იყო ნამყოფი. როცა ვიკითხეთ, რა პრინციპით, ან რა კრიტერიუმით წყვეტდნენ, ვინ უნდა შესულიყო ციხეში, რა სტანდარტები გაქვთ საამისოდ-მეთქი, გვითხრეს, რომ მსგავსი არაფერი არ აქვთ. შესაბამისად, ვუთხარი, ჩვენ დაგვიდასტურეთ ეჭვი, რომ ციხეებში მონიტორინგის წევრების შეშვება ხდებოდა ნაცნობობით. როცა არ გაქვს გაწერილი კრიტერიუმები, რის მიხედვითაც უნდა გადაწყვიტო, ვინ უნდა შეუშვა ციხეში და ვინ არა და მაინც ერთი და იმავე ადამიანს უშვებ, გამოდის, რომ შენიანია, და უბრალოდ, ამის გამო მიგყავს. თითო ვიზიტზე უხდიდნენ 100 ევროს და საერთო ჯამში, 2 000 ევრო გააკეთებინეს ამ ადამიანს. ფული ერთი პრობლემაა და ამას გავაგებინებთ დონორებს, მაგრამ საზოგადოების პრობლემა ისაა, რომ ასე, ნაცნობობითა და ახლობლობით როცა მიგყავს ციხეში მონიტორინგზე ადამიანი, ამით საზოგადოებრივი ინტერესი ზარალდება.

**— ასე თუ ისე, ჩაიხედეთ სისტემაში. როგორ ფიქრობთ, რატომ ზღუდავენ ციხის მონიტორინგს?**

– ამის მოტივაციაზე ვერაფერს ვიტყვი, ერთადერთი, შემიძლია განვაცხადო: მოდის არჩევნები, ციხეებზე კონტროლი არის მნიშვნელოვანი ყველა ხელისუფლებისთვის.

**— ჯგუფის დატოვება, რამდენად იყო გამოსავალი?**

– მე რომ დავრჩენილიყავი წევრად, ციხეში რამე წამება ან მკვლელობა მოხდეს, მერე თქვენ მოხვალთ და მეტყვით, ხომ იქ იყავით და ხმას რატომ არ იღებდითო, მე გეტყოდით, რომ სიაში ვიყავი, მაგრამ ციხეში არ მიშვებდნენ-თქო... თქვენ არ დამიჯერებდით და სწორიც იქნებით. ამიტომ, მივწერე პირადად სახალხო დამცველს, თქვენ ჩვენს უფლებას არღვევთ, ციხეში შესვლა უნდა შეგვეძლოს-თქო. შესაბამისად, მოვთხოვეთ საკითხის განხილვა. როცა განვიხილეთ, შევატყვე, რომ არაფერი არ იცვლებოდა და მე ვერ დავრჩებოდი ვინმეს ქმედებების „გამპრავებლად“.

ირაკლი ვაჭარაძის მიერ წამოჭრილი საკითხები სახალხო დამცველის პრესსამსახურს გავაცანით. ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, პრესსამსახურისგან წერილობითი პასუხი მივიღეთ:

„პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტებს, ჯგუფის შედგენისა და ამუშავების დღიდან აქვთ მაქსიმალური ხელშეწყობა და შესაძლებლობა, განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილება სახალხო დამცველის დებულებისა და ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი ექსპერტი ცდილობს სიტუაციის იმგვარად წარმოჩენას, თითქოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტების შერჩევა სხვადასხვა თემატური მონიტორინგის განსახორციელებლად გაუმჭვირვალედ მიმდინარეობს. ასევე, სამწუხაროა, რომ მიუხედავად არაერთი მკაფიო განმარტებისა, რამდენიმე ექსპერტის მოთხოვნა შეუსაბამო იყო პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში ექსპერტების საქმიანობის საწყის ეტაპზევე შეთანხმებულ ძირითად წესებთან და პირობებთან. სახალხო დამცველი განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობას ანიჭებს გამოხატვის თავისუფლებას და მიაჩნია, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა მაქსიმალურად გამჭვირვალე და საჯაროა. სამწუხაროა ისიც, რომ ზოგიერთი ექსპერტი ვერ ავლებს ზღვარს გამოხატვის თავისუფლებასა და სპეციფიკური საქმიანობიდან გამომდინარე პრევენციის ეროვნული მექანიზმის ქცევის კოდექსით დადგენილ პრინციპებს შორის“.

**დიანა ლიპარტელიანი**
571 80 40 80

# რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს გია ჟორჟოლიანი და ნიკა გვარამია?

პარლამენტში დარგობრივი ეკონომიკის სხდომაზე, სადაც მაუწყებლობის შესახებ კანონპროექტზე მსჯელობენ, დაპირისპირება მოხდა. უმრავლესობის წევრის გია ჟორჟოლიანის თქმით, კანონპროექტს ის ადამიანები ეწინააღმდეგებიან, ვინც წლების განმავლობაში მედიას ფეხქვეშ თელავდა. აღნიშნულმა განცხადებამ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია გააღიზიანა. მან სთხოვა დეპუტატს, დაეკონკრეტებინა, ვის გულისხმობდა.

გვარამიამ და ჟორჟოლიანმა სიტყვიერი დაპირისპირების შემდეგ ერთმანეთისკენ ფიზიკურადაც გაიწიეს.

„გავიგე, რომ ზრდილობა არ გაქვს. შენ ხარ უზრდელი. რა უნდა გელაპარაკო. ზუსტად „რუსთავი 2“ იყო ის ტელევიზია, რომელმაც 9 წლის მანძილზე რეჟიმი შექმნა“, – მიმართა ჟორჟოლიანმა გვარამიას.

**„ალიას“ პარლამენტის წევრი გია ჟორჟოლიანი ესაუბრა.**



**— ბატონო გია, რატომ იკამათეთ თქვენ და ნიკა გვარამიამ, რამე რეპლიკა ისროლა, რაც არ მოგეწონათ?**

– ეგ ვინ არის, რომ მას ვეჩხუბო? მე ვიჩხუბე „ნაციონალების“ წინააღმდეგ, რომლებიც დგანან, ჭკუას გვარიგებენ, როგორი უნდა იყოს თავისუფლება, კონკურენცია. ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც ყველაფერი ეს მოკლეს საქართველოში. თან ამ ჭკუის დარიგებას მიმართავენ უზრდელურად, ყოველგვარი ეთიკის წესების დაცვის გარეშე. ეს იმის ბრალია, რომ ჩვენმა საზოგადოებამ საბოლოოდ არ მისცა მათ რეჟიმს, დამქაშებს, არქიტექტორებს საბოლოო შეფასება.

**— თავიდანვე დაძაბულობა იყო, თუ რამემ გაგაბრაზათ?**

– ეს რა შუაშია? გგონიათ, ცალკეული სხდომის გამო გავბრაზდი? რაზეც მე გელაპარაკებით, ეს არ ეხება ცალკეულ თემას. ეს ეხება იმ უბედურებას, რომელშიც ჩვენ აღმოვჩნდით ამ დამნაშავეების წყალობით. მთელმა საზოგადოებამ საკადრისი პასუხი არ გავეცით და ახლა თავზე დაგვასხდნენ.

**— მაუწყებლის შესახებ მსჯელობდით და რაზე ვერ შეთანხმდით?**

– სწორედ იმაშია საქმე, რომ ცალკე შეგვიძლია საკითხებზე მსჯელობა, მაგრამ გვარამიასნაირებთან რაზე ვიმსჯელო? ეგ თავისუფლებისთვის მებრძოლია და მე მოწინააღმდეგე ვარ? მე ვსაუბრობ იმ თემაზე, რამაც შემაწუხა. „ნაციონალურ მოძრაობასთან“ შინაარსობრივ საკითხებზე საუბარი არის საზოგადოების შეცდომა. მაგათთან ერთად მსჯელობა არის ჩვენი მომავლის შეურაცხყოფა. „რუსთავი 2“ პროპაგანდისტული ტელევიზია იყო და კანონებს არასდროს იცავდა, ახლა მე მარიგებენ ჭკუას. არ გახსოვთ, რას აკეთებდნენ და ახლა რა მანიპულაციებს აკეთებენ? ეგენი არღვევდნენ კანონს, საზოგადოების მტრები იყვნენ, დამნაშავეები. ახლა მელაპარაკებიან, თანაც უზრდელურად, ცინიკურად. ამას უნდა გასცეს პასუხი საზოგადოებამ ჯერ და ცალკეულ თემებზე მერე ვიმსჯელოთ.

**ჟანა ასანიძე**
568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „მგონი, მთავრობას მალე წითელი ცირკულარით თუ მოვძებნით“



პავლე კუბლაშვილი პარლამენტში მთავრობის წევრების არმისვლას სოციალურ ქსელში ეხმაურება:

„მთავარი პროკურორი თვალით არ გვინახავს, ჭიკაიძეს 9 თვეა ვეპატიჟებით პარლამენტში, არ მოდის, ახლა თავდაცვის მინისტრს ისეთი ამბავი დაემართა, რომ, ალბათ, კიდევ დიდხანს არ გამოჩნდება, პრემიერიც იშვიათი სანახავი გახდა. მგონი, მთავრობას მალე წითელი ცირკულარით თუ მოვძებნით“. – წერს კუბლაშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „გულის ამრევია მათი წუწუნი... „ქვედა ტანში" ვართ"



ტელეკომპანია „მაესტროს" ყოფილი მფლობელი მამუკა ღლონტი „მაესტროში" განვითარებულ მოვლენებზე პოლიტიკოსების გამოხმაურებას „ფეისბუკის" პირად გვერდზე ეხმაურება.

„ეს პოსტი კონკრეტულად „მაესტროში" მიმდინარე მოვლენებს არ ეხება!!! ბევრი პოლიტიკოსი წუხდა გუშინ „მაესტროს" გარშემო განვითარებულ მოვლენებზე, გულის ამრევია ჩემთვის მათი წუწუნი. „ნაციონალური მოძრაობა" მედიის პირველი მტერი, ჟურნალისტების ცემასა და მოსყიდვაზე გაწაფული პარტია. „ოცნება", ვერშემდგარი „ნაციონალური მოძრაობა", ჟურნალისტების ლანძღვაზე და დაყოფაზე გაწაფული კოალიცია, რომლებიც იმდენად არაადეკვატურნი არიან, რომ კრიტიკას მტრობად აღიქვამენ, „ოცნება", „მაზოხისტური" ორგანიზაცია, რომელიც „რ2"-ს ქვეყნის მტრად მიიჩნევს და მასთან მილიონები მიაქვს. დაბოლოს, საზოგადოების დიდი ნაწილი, რომლებიც ჟურნალისტებს სამართლიანებად და არასამართლიანებად კი არა, „თავისიანებად" და „სხვისიანებად" ჰყოფს. მოკლედ, ცუდებიც და კარგებიც „ქვედა ტანში" ვართ". – წერს ღლონტი. (ნიუპოსტი)

# „ნაციონალებს" დელეგაციაში კვოტა ჩამოართვეს

საქართველოს პარლამენტში, საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, ევროსაბჭოს დელეგაციაში კვოტების ხელახალ გადანაწილებას ხმაური მოჰყვა. ერთმანეთს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და „თავისუფალი დემოკრატები" დაუპირისპირდნენ.

სხდომაზე დელეგაციაში „ნაციონალური მოძრაობისთვის" კვოტის შემცირების ხარჯზე, დელეგაციაში „თავისუფალი დემოკრატების" შეყვანაზე იყო საუბარი, რაც პარტიის წევრმა გიორგი კანდელაკმა ასე ახსნა: „ნაციონალებს" ევროსაბჭოში წარმომადგენლების აქტიურობის გამო სჯიან. „თავისუფალი დემოკრატები" უპირველესად სჯობს გაერკვიონ, ოპოზიციონერები არიან თუ არა და შემდეგ აითვისონ ეს კვოტა".

### რა ხდებოდა კომიტეტის სხდომაზე?

**„ალია" ირაკლი ჩიქოვანს ვერ გაესაუბრა, გვიანობამდე შეხვედრებს მართავდა, ამიტომ კომიტეტის წევრს, ზვიად კვაჭანტირაძე ვესაუბრეთ:**

– კვოტირების გადახედვა მოხდა, ამას მოჰყვა დაპირისპირება. კომიტეტის სხდომას „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები შემოუერთდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის მერე, არ ცნობენ თბილისს, საქართველოს დედაქალაქს და აქვთ მათეული არგუმენტები, რატომ არ იღებენ მონაწილეობას თბილისში გამართულ სამუშაოებში. ახლა უღალატეს თავის პრინციპს საკუთარი ინტერესების გამო, მოვიდნენ სხდომაზე და თქვეს, რომ ჩვენ არც ერთ შემთხვევაში არ ვაპირებთ, დავთმოთ ერთი ადგილიც კი ევროპის საბჭოს საპარლამენტო დელეგაციაშიო.

**— რატომ გახდა აუცილებელი არსებული კვოტირების გადახედვა?**

– მას შემდეგ, რაც პარლამენტში პოლიტიკური ლანდშაფტი შეიცვალა და უმრავლესობას გამოეყო „თავისუფალი დემოკრატები", გარდა ამისა, შეიქმნა ორი ახალი ფრაქცია, ეს ყველაფერი უნდა ასახულიყო სამართლიანად კვოტირების სისტემაში, რომელიც იყო მიღებული ორი წლის წინათ, მაშინ, როდესაც პარლამენტში მხოლოდ 6 ფრაქცია არსებობდა. საპარლამენტო ასამბლეაში, დღევანდელი სიტუაციით ისე გამოდიოდა, რომ უმრავლესობას ნაკლები წარმომადგენლობა ჰყავდა, ვიდრე ოპოზიციას. ანუ ძალთა ბალანსი იყო დარღვეული. კომიტეტმა შემოიტანა განსახილველად წინადადება, რომ დღევანდელი უმრავლესობისა და უმცირესობის სურათი ადეკვატურად ყოფილიყო ასახული კვოტირებაში. რადგან ასამბლეა ტარდება იანვარში, კვოტირების საკითხი უფრო ადრე იყო გადასაწყვეტი. 19 იანვრამდე უნდა წარვადგინოთ განახლებული შემადგენლობა საქართველოს დელეგაციისა. განვიხილეთ და საპარლამენტო ასამბლეაში, „ნაციონალურ მოძრაობას" მოვაკელით ერთი ხმა „თავისუფალი დემოკრატების" სასარგებლოდ.



წარმოიდგინეთ, უმრავლესობა, დელეგაციაში, რომ არ ყოფილიყო წარმოდგენილი უმრავლესობით. ძალიან მკაცრადაა კვოტირებული ეს საკითხი, არის 5 მუდმივი წევრი, გამოდიოდა, რომ ჩვენ, უმრავლესობას, გვრჩებოდა 2 და ოპოზიციურ პარტიებს რჩებოდათ 3. ეს არის არასამართლიანი.

**— რა შედეგით დასრულდა სხდომა?**

– მივიღეთ კვოტირების ახალი სისტემა, სადაც ყველა ოპოზიციური ფრაქციისა და ახლადშექმნილი ფრაქციის წარმომადგენლები იქნებიან თანაბრად გადანაწილებული. გარდა ამისა, კანონმდებლობა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ უმრავლესობამ და უმცირესობამ მოილაპარაკონ, თუ არის აუცილებლობა, ერთი დელეგაციიდან მეორეში ადგილები გადაანაცვლონ. ყველაფერი მოხდა აბსოლუტურად სამართლიანად. დელეგაციაში ერთი წევრი წარმოდგენილი იქნება „თავისუფალი დემოკრატებიდან".

**— ამან გააღიზიანა კანდელაკი?**

– რა ვქნათ, რომ გაბრაზდნენ?! ყველაფერი ხდება ცხოვრებაში. ჩვენც ბევრ რამეზე ვართ გაბრაზებული და ჩვენზე მეტად ჩვენი ამომრჩევლები არიან გაბრაზებულები, რომ ყველაფერს ისე ვერ ვაკეთებთ, როგორც მათ სურდათ. თუმცა ჩვენ თავიდანვე ვთქვით, რომ ოპოზიციას ისე მოვექცეოდით, როგორც ამას ქვეყანა იმსახურებს და არა ისე, როგორც თვითონ იმსახურებენ. ეს გადაწყვეტილებაც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე იყო ნაკარნახევი. რა თქმა უნდა, არ იყო ეს მათთვის იოლი დასათმობი და ძნელადაც დათმეს. ორი წლის მერეც ვერ არიან იმას შეგუებული, რომ თვითონ არ არიან ხელისუფლებაში, მაგრამ რა ვქნათ, ასეთია ცხოვრება.

დიანა ლიპარტელიანი

571 80 40 80

# „ბოლო გაფრთხილება სასამართლოს!"

ორგანიზაცია „ტრანს ცენტრ საქართველოს" წარმომადგენელი ირაკლი კაკაბაძე აცხადებს, რომ ბუტა რობაქიძის სასამართლო პროცესებზე განვითარებული მოვლენები სასამართლო ხელისუფლების ძალიან დიდი პრობლემაა.

„სამოქალაქო საზოგადოება დღეს, ფაქტობრივად, საქართველოში არ არსებობს. არსებობს კერძო, პრივატული ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც გარკვეული კორპორაციების ინტერესებს გამოხატავენ. ჩვენ ვიღებთ ისეთ ვითარებას, როდესაც მკვლელები პირდაპირ სასამართლო დარბაზის წინ დგანან, დასცინიან მსხვერპლს და პირიქით, მსხვერპლი შეიძლება აღმოჩნდეს ციხეში. სასამართლო პირდაპირ უბიძგებს მოქალაქეებს ძალადობისა და სამართლის ლინჩის წესით აღდგენისკენ, რაც ძალიან ცუდია. გვინდა მოვუწოდოთ სასამართლოსაც და მოქალაქეებსაც, რომ დავდგეთ ერთად იმისთვის, რომ არ შეიქმნას ისეთი სიტუაცია, როცა მოქალაქეები ძალადობაზე გადავლენ", – განაცხადა ირაკლი კაკაბაძემ.

კაკაბაძე სასამართლოს ბოლო გაფრთხილებას აძლევს და აცხადებს, რომ სანამ ხალხი სამართლიანობის დამყარებას თვითონ გადაწყვეტს, სასამართლო უნდა გამოფხიზლდეს და სამართალი აღასრულოს ისე, როგორც ეს საზოგადოებას ეკადრება.

ვინ არიან საქართველოში პრივატული ინტერესთა ჯგუფები? რას ნიშნავს სასამართლოსთვის ბოლო გაფრთხილება?

**„ალიას" ირაკლი კაკაბაძე ესაუბრა:**



**— ბატონო ირაკლი, რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, რომ საქართველოში არსებობს კერძო, პრივატული ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც გარკვეული კორპორაციების ინტერესებს გამოხატავენ?**

– საქმე ისაა, რომ ჩვენი ე.წ. სამოქალაქო სექტორის დიდი ნაწილი, რომლებიც წამყვანი „ენჯეოები" არიან, ესენი ტრანსნაციონალურ, მულტიკორპორაციულ ინტერესებს ემსახურებიან. მათ აფინანსებენ ის მთავრობები, რომლებიც არიან ამ კორპორაციების მარიონეტები. აღარავის აინტერესებს ბუტა რობაქიძე, არც ამ ორგანიზაციებს. ამ ორგანიზაციებს არც სამართლიანობის აღდგენის საკითხები ადარდებთ და აიძულებენ ხალხს, ლინჩის წესზე გადავიდნენ. ეს ნამდვილი ტრაგედია იქნება. ადრე თუ საუბრობდნენ რობაქიძის მკვლელობაზე, ახლა რატომ დაამუხრუჭეს? დამფინანსებლების გამო, დამფინანსებლები კი ტრანსნაციონალური კორპორაციები არიან. მე ეჭვი მაქვს, რომ დანაშაულებრივიც შეიძლება იყოს.

**— სასამართლოს ბოლო გაფრთხილებას აძლევთ? მერე რამეს აპირებთ?**

– მე არ ვაძლევ მათ ბოლო გაფრთხილებას, ხალხისგან არის ბოლო. მერე სამართალს თავად აიღებს ხელში და შევარდება იმ სასამართლოში, მოსამართლეებს თავისებურად მიუზღავს და აქამდე არ უნდა მივიდეთ.

**— დაძაბულობით ისევ პოლიტიკური მტრები იხეირებენ და რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ?**

– ისე უნდა გაკეთდეს, რომ ვერავინ იხეიროს. ამას იმით მივაღწევთ, თუ სასამართლო ხელისუფლება იქნება მიუკერძოებელი. თვითონ სასამართლოშიც „ნაციონალები" არიან, ამიტომ მე ვფიქრობ, აუცილებელია სასამართლოს რეფორმირება რაც შეიძლება მალე, სასამართლოს თავმჯდომარე უნდა შეუცვალოს, ასეთი მიკერძოებული არ უნდა იყოს და არ უნდა იყოს არც გარკვეული პოლიტიკური წრის, ან ჯგუფების ინტერესების გამტარებელი და ნაციონალური კორპორაციების ინტერესების მონა, არამედ ქართველი ხალხის ინტერესების გამტარებელი. ქართველი ხალხის მანდატი დიდი პასუხისმგებლობა უნდა იყოს ახალი მოსამართლისთვის.

ჟანა ასანიძე

568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ავტოსაგზაო შემთხვევას ორი ადამიანი ემსხვერპლა




ლანჩხუთში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა ტრაგიკული შედეგით დასრულდა. შემთხვევა ლანჩხუთში კვების ობიექტ „ფერსოს" მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. თვითმხილველთა თქმით, „გოლფის" მარკის ავტომანქანა, მოპირდაპირე მხარეს მიმავალ „ოპელ ასტრას" შეეჯახა. ავტომანქანაში მყოფი შვიდი მგზავრიდან ორი ადამიანი დაიღუპა. დანარჩენ დაშავებულებს, პირველადი დახმარება ჯერ კლინიკაში გაეწიათ, შემდგომ კი ქუთაისის საავადმყოფოში გადაიყვანეს. (ნიუპოსტი)

## რადამ უკრაინის ბლოკგარეშე სტატუსი გააუქმა



უკრაინის უმაღლესმა რადამ უკრაინის ბლოკგარეშე სტატუსის გაუქმებასთან დაკავშირებით, პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს მიერ წარდგენილი კანონპროექტი მიიღო.

როგორც ცვლილებების განმარტებით ნაწილშია ნათქვამი, ქვეყნისთვის ბლოკგარეშე სტატუსი საგარეო აგრესიისა და ზეწოლის კონტექსტში უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის არაეფექტური აღმოჩნდა. უკრაინას ბლოკგარეშე ქვეყნის სტატუსი იანუკოვიჩის დროს მიენიჭა. რადამ შესაბამისი გადაწყვეტილება 2010 წელს მიიღო. კანონპროექტი ითვალისწინებდა იმას, რომ უკრაინა უარს ამბობდა ნებისმიერი სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანებაზე, პირველ რიგში კი ნატოზე. უკრაინელი და რუსი ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ბლოკგარეშე სტატუსის გაუქმება მოსკოვის ახალ გაღიზიანებას გამოიწვევს, რადგან ამ ცვლილებით უკრაინას ევროინტეგრაციისა და ნატოსთან დაახლოების გზაზე მნიშვნელოვანი ბარიერი მოეხსნა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მაესტროს“ მეწილე „უცნობი“ სიტუაციას არკვევს



„მაესტროს“ ერთ-ერთი მფლობელი, გია გაჩეჩილაძე ტელეკომპანიაში მიმდინარე პროცესებზე პირველ კომენტარს აკეთებს. მისი თქმით, ტელევიზიაში კოკა ყანდიაშვილის მისვლის შესახებ ინფორმაცია სიახლეს წარმოადგენს და ამ საკითხის გარკვევას აპირებს.

„ყანდიაშვილს აქვს თავისი სამსახური და ის თუ „მაესტროში“ მუშაობას იწყებს, ეს ჩემთვის სიახლეა. გასარკვევი მაქვს ეს საკითხი“, – განაცხადა გაჩეჩილაძემ.

იგი ტელეკომპანიიდან ჟურნალისტების წასვლის თემასაც შეეხო:

„გაჩუმებული ვარ და არაფერს არ ვაკეთებ. ჩემი პოზიცია არის ის, რომ ის წილი არის ჩემი და მორჩა და გათავდა. რაც შეეხება ჟურნალისტების წასვლას, ეს არის ჩვეულებრივი სამუშაო პროცესი. ჟურნალისტები წავიდნენ და ზუსტად ეხლა ვარკვევთ, რატომ მიდიან ჟურნალისტები. სწორედ გარკვევის პროცესში ვარ. 3-4 წლის განმავლობაში ტელევიზიის ბადეში და მენეჯმენტში არ ჩავრეულვარ, მაგრამ ეხლა დამაინტერესა, რატომ ხდება ეს ყველაფერი“, – განაცხადა გაჩეჩილაძემ. (ნიუპრესი)

## ქუთაისში ბიუჯეტი დაწვეს



„თავისუფალი საქართველოს“ იმერეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გოგი წულაიამ ქუთაისის მთავარი საფინანსო დოკუმენტი დაწვა.

„თქვენ გინდათ ეს ქალაქი დაანგრიოთ და დაფერფლოთ. თუ მასეა, მე თქვენ მიერ მიღებულ ბიუჯეტს დავწვავ და დავფერფლავ. ამ ფურცლებს არ დავყრი აქ, ფერფლი დაცვივდება ძირს და თუ დამინერენ ადმინისტრაციულ ჯარიმას, ჯანდაბას, დამიწერონ, ოღონდ ეს დაიწვას“, – განაცხადა წულაიამ. (ნიუპრესი)

# რა გარიგებებში ადანაშაულებენ სუბარის სამინისტროს?

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი მამუკა აჩბა ლტოლვილთა სამინისტროს დევნილების მოტყუებაში ადანაშაულებს. მისი განცხადებით, პროექტები, რომლებიც ასახულია, როგორც სამინისტროს ვალდებულებებში, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტში, რეალურად ან არ სრულდება, ან სრულდება გამონაკლის შემთხვევებში გაურკვეველი გარიგების საფუძველზე. კერძოდ, აჩბა 17 000 ლარის ფარგლებში სოფლად კერძო საკუთრებაში არსებული სახლებისა და ბინის შესყიდვის პროგრამით ინტერესდება.

„ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციით, მხოლოდ რამდენიმე ოჯახი იქნა დაკმაყოფილებული საცხოვრებელი სახლით და ისიც დიდი მოლაპარაკებებისა და, სავარაუდოდ, უკანონო გარიგების შედეგად. მოკლედ რომ ვთქვათ, „ჩანყობით“. – ამბობს აჩბა.

**„ალიას“ მამუკა აჩბა ესაუბრა:**

– ჩვენთან ყოველდღიურ რეჟიმში მოდის დევნილთა გარკვეული ნაწილი. ის ბრძანება, რომელშიც შესწორება შეიტანა მინისტრმა, შეეხებოდა იმას, რომ დევნილთა სამინისტრო დევნილებისთვის 17-ათასლარიან დახმარებას გამოყოფს, რითაც დევნილები საკარმიდამო ნაკვეთებთან ერთად შეიძენენ საცხოვრებელ სახლებს. ეს იყო ერთ და ორსულიან ოჯახზე, ხოლო თუ სულადობა იზრდება, უნდა გაზრდილიყო დახმარების თანხაც. დევნილები მიმართავენ დევნილთა სამინისტროს, თუმცა, მათი მოთხოვნები არ კმაყოფილდება. არ არსებობს ქულების მინიჭების არანაირი კრიტერიუმი, ამავდროულად არის ის პრობლემაც, რომ დევნილთა სამინისტროს ხელში რჩება ბერკეტი, რომლითაც შეუძლია, დევნილებზე მანიპულირება მოახდინოს.

— **როგორ შეუძლია, მოახდინოს მანიპულაცია?**

– მაგალითად, მე ვირჩევ სოფლად სახლს, მივმართავ დევნილთა სამინისტროს, რომელსაც შეუძლია მითხრას ან კი, ან არა და მოიყვანოს სხვადასხვა მიზეზი. რაღაც მიზეზები მოჰყავს, ის, რაც მას უნდა. მსგავსი გადაწყვეტილებები, როგორც დევნილები გვეუბნებიან, რაღაც გადაწყვეტილებების საფუძველზე მიიღება და აკმაყოფილებენ დევნილთა იმ ნაწილს, ვინც კომისიასთან



გარიგებას მოახერხებენ, ხოლო სხვები რჩებიან დაპირების ამარა.

— **ფაქტები გაქვთ?**

– კონკრეტული ფაქტები მაქვს, ძირითადად იმერეთის რეგიონზე, ასევე სამეგრელოს რეგიონზე. მაქვს კონკრეტული მისამართები, სახლები და გვარები, ეს ხალხი მოდის ჩვენთან და გვაწვდის ყველანაირ ინფორმაციას. გვეხვეწებიან შველას, რომ მივცეთ, თუნდაც რჩევა მაინც, რა უნდა გააკეთონ. მძიმე მდგომარეობაა. სადღაც, სოფლებში, კომუნისტების აშენებულ, მიტოვებულ სახლებში ცხოვრობენ და ეხვეწებიან სოფლის გამგებელს, რომ პატარა მიწის ნაკვეთი გამოუყონ, რომ მოსავალი მოიწიონ და ოჯახები არჩინონ. ამ დროს სამინისტრო ამბობს, რომ მათ სახლებს შეუსყიდის. ეს ხალხი ნებისმიერ სოფელზე თანახმაა. მაგრამ რეალობა ასეთია – ათასობით განცხადება დევს დევნილთა სამინისტროში სახლების თხოვნით, რომელთა პასუხიც არ არსებობს. 40 მილიონი დარჩია სამინისტროს ასათვისებელი, ინფორმაცია გავრცელდა, რაც მერე სუბარმა უარყო და თქვა, რომ რეალურად 5 მილიონი დარჩა აუთვისებელი. მინდა ვუთხრა ბატონ სუბარს, რომ თუნდაც ამ 5 მილიონით, ამ წელს 250-300 დევნილი ოჯახის დაკმაყოფილება შეეძლო.

**ბრალდებაზე კომენტარისთვის „ალია“ სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, დალი გოგოლაძეს დაუკავშირდა:**

– ვერ დავეთანხმები განცხადებაში მოყვანილ ვერც ერთ პუნქტს. კრიტერიუმებში შევიდა ცვლილება და გავხადეთ დევნილთა საჭიროებებზე მორგებული, რაც აბსოლუტურად საჯაროა, ავტვირთეთ ჩვენს საიტზე, გამოვაქვეყნეთ მაცნეში... საქართველოს ყველა ტერიტორიულ ორგანოში გამოკრულია ეს ინფორმაცია. ნებისმიერმა სამართველომ, დევნილებთან უშუალო კომუნიკაციით ეს ინფორმაცია მიაწოდებულია და თუ ამ მიმართულებით, დაუშვებათ თვეში 100-მდე განაცხადი შემოდიოდა, ახლა შემოდის დაახლოებით თვეში 400-500 განაცხადი.

რაც შეეხება იმას, რომ მოტყუებით და „ჩანყობით“ ხდება რამე, განვმარტავთ: არსებობს ორი მხარე, გამყიდველი და მყიდველი. არსებობს, ასევე, სამხარაულის ეროვნული ბიურო, რომელიც ექსპერტიზის დასკვნას გვაძლევს. ჩვენ დამოუკიდებლად კი არ ვიღებთ გადაწყვეტილებას, ვინმე ყიდდეს და ჩვენ ვყიდულობდეთ, ექსპერტიზის დასკვნა ახლავს ყველა სახლს, რომ ნებისმიერ სახლს თვითონ ირჩევს დევნილი.

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

# რატომ არ აცხადებენ ყოფილ რეჟიმს დამნაშავედ?

მანდატურებმა გელა სალუაშვილს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომა იძულებით დატოვებინეს. სალუაშვილმა პარლამენტს კიდევ ერთხელ წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადებას ითვალისწინებს. სალუაშვილმა მოითხოვა, რომ იურიდიულ საკითხთა კომიტეტს მის საკანონმდებლო წინადადებაზე ემსჯელა. ვახტანგ ხმალაძემ განმარტა, რომ საკითხი წარმოდგენილია საკანონმდებლო ხარვეზებით და დარღვევით და, შესაბამისად, როგორც საკანონმდებლო წინადადება, განხილული ვერ იქნებოდა. ეს ხმალაძისა და სალუაშვილს შორის ხმამაღალი საუბრის მიზეზი გახდა, საბოლოოდ კომიტეტის სხდომა სალუაშვილს მანდატურებმა დაატოვებინეს.

**რა მოხდა კომიტეტის სხდომაზე, ამაზე „ალია“ გელა სალუაშვილი ესაუბრა:**

– სხდომა მართლაც დაგვატოვებინეს. ვახტანგ ხმალაძემ ასეთი ფორმით გააპროტესტა საპარლამენტო უმრავლესობის სამართლებრივი პოზიცია იმის მომიზეზებით, რომ თითქოსდა ჩვენ უკვე მესამედ ვითხოვდით ყოფილი რეჟიმის დამნაშავედ გამოცხადებას, სინამდვილეში კი არ სურდათ, ამ საკითხზე მსჯელობა გამართულიყო,



დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე მოხსენების გაკეთების შესაძლებლობა არ მოგვცა.

— **კონკრეტულად რას ითხოვდით ამ ინიციატივით?**

– ჩვენ ვთავაზობთ პარლამენტს, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ, კეთილი ინებოს და გაითვალისწინოს მათივე საარჩევნო დანაპირები სააკაშვილის რეჟიმის დამნაშავედ გამოცხადებასთან დაკავშირებით. ამ მიზნით ჩვენ შევიმუშავეთ საკანონმდებლო წინადადება: „საქართველოში 2004-2012 წლებში მოქმედი რეჟიმის პოლიტიკური შეფასების შესახებ“ მუხლი 1. კანონის მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყანაში სამართლიანობისა და კანონიერების, საქართველოს მოქალაქეთა ნების უზენაესობისა და ერის ზნეობრივ ფასეულობებზე დაფუძნებული სამართლებრივი სივრცის დამკვიდრებას. მუხლი 2. ადამიანის უფლებათა და მორალურ ფასეულობათა მასიური ხელყოფისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევის პროცესში შეტანილი უმძიმესი წვლილის გამო, 2004-2012 წლებში საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი ძალის მიერ დამყარებული პოლიტიკური რეჟიმის საქმიანობას მიეცეს „სისტემური დანაშაულებრივი რეჟიმის“ კვალიფიკაცია. მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

— **ხმალაძე ამბობს, რომ ხარვეზები იყო საკანონმდებლო ინიციატივაში. რას აპირებთ?**

– მას მიაჩნია, რომ ჩვენი წინადადება არა კანონის სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, რასაც პარლამენტის რეგლამენტი ითვალისწინებს, არამედ ასეთი შინაარსი მხოლოდ „დადგენილების“ ფორმით შეიძლება გადაწყდეს. თუმცა პარლამენტის რეგლამენტით დადგენილებით შეთავაზების უფლება ჩვენ არ გვაქვს. ჩვენ მართლაც მესამეჯერ დავაყენეთ რეჟიმის შეფასების საკითხი.

მათ ვერ გაბედეს შეედარებინათ და სააკაშვილის რეჟიმების შეფასება; რამეთუ თავად იყვნენ შევარდნაძის დამნაშავე რეჟიმის თანამონაწილე-თანამზრახველნი. მეორედ მათ შანსი მივეცით, რომ მიეღოთ კანონი „საქართველოში 2004-2012 წლებში მოქმედი დანაშაულებრივი რეჟიმის პოლიტიკური შეფასებისა და მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობის საქმიანობის შესახებ“. ესეც ვერ გაბედეს, იმიტომ რომ „ოცნების“ რიგებში მრავლად ჰყავდათ დამნაშავე რეჟიმიდან წამოსული წევრები. და აი, მესამედ ვთხოვეთ, მხოლოდ რეჟიმი მაინც შეეფასებინათ სათანადოდ, ანუ კანონის ძალით გამოაცხადონ სააკაშვილის რეჟიმი დამნაშავედ, მაგრამ „ქოცებს“ არ აქვთ შინაგანი გამბედაობა, თავისი სახელი დაარქვან დამნაშავე რეჟიმს, რამეთუ „ქოცები“ და „ნაცები“ ერთი ჯოხის ორ ბოლოს წარმოადგენენ. იმედია, ქართველი ხალხი გამოუტანთ მათ შესაფერის განაჩენს, ამის დროც მალე დადგება.

ჟანა ასანიძე
568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პუტინმა სოჭის ხელშეკრულება რატიფიცირებისთვის დუმას გადასცა



რუსეთსა და აფხაზეთს შორის „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ოკუპირებული აფხაზეთის პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულება, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა იგივე პროცედურის გასავლელად სახელმწიფო დუმას გადასცა.

რუსეთსა და აფხაზეთს შორის ხელშეკრულებას პუტინმა და ხაჯიმბამ ხელი მიმდინარე წლის 24 ნოემბერს სოჭში მოაწერეს. (ნიუპრესი)

## მიხეილ ხუბუტიას ცემის ფაქტზე გამოძიება ექსპერტიზის შედეგებს ელოდება



ბიზნესმენ მიხეილ ხუბუტიას ცემის ფაქტზე გამოძიება ექსპერტიზის შედეგებს ელოდება. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით:

„გამოძიება მიმდინარეობს 125-ე მუხლით, რაც ცემას გულისხმობს. დანიშნულია ექსპერტიზა და მის პასუხებს ველოდებით“, – აცხადებენ შსს-ში.

ხუბუტია რესტორან „თავადურში“ 20 დეკემბერს სცემეს. (ინტერპრესნიუსი)

## ცნობილი ქართველები, რომლებსაც მათზე ბევრად უმცროსი მეუღლეები ჰყავთ

ცნობილი ადამიანების პირადი ცხოვრება საზოგადოების განსჯის საგანი მუდმივად არის. თბილისში არაფერი იმალება, შესაბამისად, ყველამ იცის, ვინ ვის ხვდება და ვინ რამდენი წლით არის უფროსი საკუთარ რჩეულზე. ცნობილ ქართველებს მეწყვილესთან დიდი ასაკობრივი სხვაობის გამო ხშირად აკრიტიკებენ, თუმცა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ყველაზე მყარი ოჯახები სწორედ იმ ცნობილ ქართველებს აქვთ, ვის შორისაც დიდი ასაკობრივი სხვაობაა.

### ნინო ქორიძე და თორნიკე გოგრიჭიანი



სამეფო კარის კანცლერის, კახა ქორიძის ქალიშვილი, ნინო ქორიძე თბილისში მუდამ პოპულარობით სარგებლობდა. ნინო ქორიძემ რამდენიმე წლის წინათ მსახიობ თორნიკე გოგრიჭიანზე იქორწინა. თორნიკე 24 წლის იყო, ნინო – 37-ის. ცოტა ხნის წინ ქალიშვილიც შეეძინათ. მათ შესახებ არაერთხელ გავრცელდა ჭორი, თითქოს დაშორდნენ, მაგრამ წყვილი ბედნიერად ცხოვრობს.

ნინოსთვის თორნიკე მესამე ქმარია. კანცლერის ქალიშვილი პირველად 16 წლის ასაკში დავით კვირიკაძეზე (მეტსახელად ბათურა) გათხოვდა. მასთან ჰყავს შვილი ირაკლი კვირიკაძე, რომელიც ინგლისში სწავლობს. თუმცა, ნაადრევად შექმნილი ოჯახი მალე დაინგრა. 21 წლის ასაკში კი კოტე გოგელიაზე გათხოვდა, რომელიც ახლა მაკა ასათიანის ქმარია. კოტემ და ნინომ ერთმანეთი ირინა თევზაძის ჩვენებაზე გაიცნეს, რომლის სპონსორიც კოტე გოგელია იყო, ნინო კი პოდიუმზე გამოდიოდა და მალე ოჯახი შექმნეს, რომელიც მცირე დროში დაინგრა. რაც შეეხება მესამე ქორწინებას, თორნიკესა და ნინოს ტრადიციული ქართული ქორწილი ჰქონდათ, ჯვარი მამა დავითზე დაიწერეს.

### ვასო ფხაკაძე და ლიკა მეტრეველი



ვასო ფხაკაძემ სულ ცოტა ხნის წინ 16 წლით უმცროს ლიკა მეტრეველზე იქორწინა. 21 წლის ლიკა მეტრეველი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია და პარალელურად სამოდელო საქმიანობით არის დაკავებული. ვასომ და ლიკამ ერთმანეთი 2012 წელს „მის საქართველოზე“ გაიცნეს. მაშინ ლიკა პირველი „ვიცე მის საქართველოს“ ტიტულის მფლობელი გახდა. წყვილმა თაფლობის თვე ანტალიაში გაატარა.

### გია ბაღაშვილი და თამუნა ტაბატაძე



გია ბაღაშვილმა რამდენიმე წლის წინათ იპოვა საკუთარი რჩეული და 18 წლის მოცეკვავეზე, თამუნა ტაბატაძეზე იქორწინა. გიასა და თამუნას შორის საკმაოდ დიდი, 19-წლიანი ასაკობრივი სხვაობაა, მაგრამ ამას მათი სიყვარულისთვის ხელი არ შეუშლია. თამუნამ და გიამ ერთმანეთი ირინა ონაშვილის დახმარებით გაიცნეს. შემდეგ კი ჯვარზე მამა დავითმა ჯვარი დასწერათ და საქორწინო მოგზაურობაში წავიდნენ.

### დავით საგანელიძე და სოფო ფარცხალაძე

უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ ოჯახი 50 წლის ასაკში შექმნა და 30 წლით



უმცროს სოფო ფარცხალაძეზე იქორწინა. „სიყვარულს ასაკი არ აქვს. ვისი განკითხვის ობიექტიც ვარ, მობრძანდეს ჩემთან ოჯახში“, – განაცხადა დავით საგანელიძემ ერთ-ერთ ინტერვიუში. სოფო აფთიაქში მუშაობდა, სადაც საგანელიძე წამლის საყიდლად მივიდა. პოლიტიკოსს ახალგაზრდა გოგონა მოეწონა, აფთიაქის მისამართი დაიმახსოვრა, 09-ში ტელეფონის ნომერი გაიგო და ასე დაიწყო მათი ურთიერთობა. შემდეგ დაქორწინდნენ და პირველი შვილიც გაუჩნდათ. როგორც სოფო იხსენებს, დავით საგანელიძე ეჭვიანი ქმარი არ არის. როცა თავისუფალი დრო აქვს, საღამოობით როიალზე უკრავს და ოჯახთან ერთად მღერის.

### ხათუნა ჟორდანია და ზურა ხაჩიძე



რამდენიმე წლის წინათ ზურა ხაჩიძისა და ხათუნა ჟორდანიას ქორწილის შესახებ მთელი თბილისი ლაპარაკობდა. დაქორწინებამდე წყვილი დიდხანს იყო შეყვარებული. ერთმანეთი ხათუნა ჟორდანიას ქალიშვილის, ნინი ქარსელაძის სიმღერის ჩაწერის დროს გაიცნეს. ზურას ხათუნა მაშინ შეუყვარდა. მათი სიყვარულის გარშემო უამრავი ჭორი და ბოროტი ხმები ტრიალებდა. განსაკუთრებულ ქარ-ცეცხლში წყვილს ასაკობრივი სხვაობის გამო ატარებდნენ.

წყვილი დაქორწინებამდე დაახლოებით 3-4 წელი ხვდებოდა ერთმანეთს. მათი შეყვარებულობის დროს ხათუნა რამდენიმე თვე შვეიცარიაში ცხოვრობდა. როცა თბილისში დაბრუნდა, ზურა უკვე ქეთა თოფურიას შეყვარებული იყო, მაგრამ ბოლოს მაინც ხათუნას შეურიგდა. როგორც ხათუნა ჟორდანია ერთ-ერთ გადაცემაში იხსენებს, ზურასთან ასაკობრივი სხვაობის გამო მათი ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელდებოდა, მით უმეტეს ქორწინებით არ დასრულდებოდა, თუმცა ზურა ხაჩიძემ დაქორწინება გადაწყვიტა. თურმე ზურამ ბევრი დალია და ხათუნას ძმას, მერაბ ჟორდანიას დის ხელი სთხოვა. ჯვარი დაიწერეს და 500-კაციანი ქორწილიც გადაიხადეს. ახლა საერთო ქალიშვილი, ანასტასია ჰყავთ.

*ambebi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ჭოლა — „ვნერვიულობ, ახალ წელს რა ამინდი იქნება, საცივს ყინვა უხდება“



ლევან წულაძეს, ყველასთვის ნაცნობ ჭოლას, ძალიან ჰყვარებია საცივი. ახალ წელთან მისთვის ეს კერძი ასოცირდება და როდესაც მანანა კოზაკოვა ინდაურის საცივს ამზადებს, მთავარი დეგუსტატორი მაესტროა.

ლევან წულაძე:

— ჩემთვის ახალი წელი საცივთან ასოცირდება და მე მთელი წელი ვცხოვრობ საცივიდან საცივამდე. კერძს ჩემი მეუღლე ამზადებს. ესტაფეტა გადაიბარა დედაჩემისგან და ივარგა...

მე ვსინჯავ საცივს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა. დეგუსტატორი ვარ. ვნერვიულობ, რა ამინდი იქნება წინა ღამეს. საცივს უხდება, ოდნავ ყინვა რომ დაჰკრავს.

*primetimenews.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## რომელ მწერალს მიმართავს ლევან ღვინჯილია? — „მწერალმა ასეთ ენობრივ ნიუანსებზე მეტი უნდა იფიქროს“...



– შეცდომა არ უნდა დაუშვა!!! „ადამიანები ვართ და ყველა ვუშვებთ შეცდომას“ – ეს წინადადება ამოვიღე ერთი ჩვენი თანამედროვე და საკმაოდ პოპულარული ქართველი მწერლის (პოეტის) ინტერვიუდან, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა გაზეთში. სხვა შემთხვევაში ამას ყურადღებას არ მივაქცევდი, იმდენად გავრცელებული უზუსტობაა, მაგრამ, როცა ასეთ რამეს ამბობს ცნობილი მწერალი, რომელიც ლამისაა თანამედროვე ქართული მწერლობის მეტრად იყოს აღიარებული, ეს იმას ნიშნავს, რომ შესიტყვება – „შეცდომის დაშვებამ“ მყარად მოიკიდა ფეხი და ამაზე ქართველი მწერლები უნდა დაფიქრდნენ: მწერალი ენის შემოქმედია და მას მეტი მოეთხოვება, ვინემ რიგით მოქალაქეს. საქმე ისაა, რომ „შეცდომა“ უნებლიე მოქმედებაა (შენ ეს არ გინდოდა, მაგრამ შენდა უნებურად დაგემართა, შეცდი...), ხოლო – „დაშვება“ (რაღაცა რომ დაუშვი) იმას ნიშნავს, რომ ეს შენ გინდოდა და კიდევაც დაუშვი (ანუ, ხალხურად რომ ვთქვათ, „შემწვარი ნაყინის“ ამბავია, რა!). იმედია, უკვე ხვდებით, რისი თქმაც მინდოდა: დიახ! სწორი იქნებოდა – „ადამიანები ვართ და ყველას მოგვდის შეცდომა“. დავიმახსოვროთ! – უნებურობის გამოხატვა თუ გვინდა, უნდა ვთქვათ – „შეცდომა მომივიდა, შევცდი“, ხოლო, თუ ამბობ, რომ „შეცდომა დაუშვი“, შენ ეს გდომებია და მაშინ თავს ნუ იმართლებ და პატიებას ნუღარ ელი! ვინ, ვინ და, მწერალმა ასეთ ენობრივ ნიუანსებზე მეტი უნდა იფიქროს, – წერს ღვინჯილია „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

*daijesti.pia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## გოჩა ჭაბუკაიძის მადლობა და პირობა მაყურებელს



ჩემო ძვირფასებო!!! ასწილ მოგაგოთ ღმერთმა თქვენი თითოეული ლოცვის, ანთებული სანთლის, მეტ-ანიისა და სატელეფონო ზარის სამაგიერო ოჯახებში!!!

მათ სანუგეშოდ, ვინც მეტს მოელოდა ჩემგან, ვიტყვი, რომ არც არასწორად შერჩეულმა სიმღერამ და არც ჯანმრთელობამ არ შემიწყო ხელი!!! მადლობა ულრმესი თქვენი გულისხმიერებისთვის!!!

დაგლოცოთ და გაგახაროთ უფალმა!!! ფინალში უკეთესი ვიქნები!!! მიყვარხარ, საქართველო!!!

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## შორენა ბეგაშვილი — „ყველა წითელი კაბა ასე მიხარია“



როგორც აღმოჩნდა, შორენა ბეგაშვილს წითელი ფერი განსაკუთრებით ჰყვარებია. სოციალურ ქსელში შორენა ფოტოს აქვეყნებს, სადაც სარკესთან ფეხშველა დგას და წითელი კაბა აცვია. „ყველა წითელი კაბა ასე მიხარია“, – წერს შორენა.

*primetimenews.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## თიკა ჯამბურიას შვილმა წითელქუდას როლი მოირგო



მომღერალ თიკა ჯამბურიას შვილი – ნინა ხოფერია ჯერ მხოლოდ რამდენიმე წლისაა, მაგრამ, როგორც ჩანს, მშობლების მსგავსად ხელოვნების გზას აირჩევს. თიკას ინტერვიუებში ბევრჯერ აღუნიშნავს, რომ ნინას კარგი სმენა აქვს.

ნინამ პოპულარობისკენ და სცენისკენ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა. საბავშვო ბაღის ზეიმზე წითელქუდას როლი მოირგო.

ნინას წითელქუდას ფორმაში გადაღებული ფოტოები თიკამ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა, რომელმაც ძალიან ბევრი მოწონება დაიმსახურა. ყველა აღნიშნავს, რომ გარეგნულად ნინა მამას – ბექა ხოფერიას ძალიან ჰგავს.

როგორც კომენტარებიდან ირკვევა, ნინამ პირველი როლის შესრულებას თავი კარგად გაართვა.

*reitingi.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge
ალია

## სასარგებლო ფაქტები შოკოლადის შესახებ



რადგან სულ მალე, სხვა ყველაფერთან ერთად, შოკოლადის მირთმევაც ბევრს დიდი დოზებით მოუწევს, ყველასთვის საყვარელი ნუგბარის შესახებ რამდენიმე საინტერესო ფაქტზე მოგიყვებით:

– სპეციალისტების მტკიცებით, შოკოლადი სასარგებლოა გულისთვის. ადამიანებში, რომლებიც შოკოლადს რეგულარულად მიირთმევენ, გულის დაავადებათა რისკი 37 პროცენტით მცირდება.

– შოკოლადი დადებითად მოქმედებს განწყობაზეც, რაც ტვინში სეროტონინის შემადგენლობის მომატებით მიიღწევა. კვლევები, რომელიც ამტკიცებს, რომ შოკოლადს აფროდიზიაკის თვისებებიც აქვს, ჯერ კიდევ გრძელდება.

– მამაკაცებში ინფარქტის რისკს შოკოლადი 17 პროცენტით ამცირებს. გულთან მიმართებაში შოკოლადის დადებით გავლენაზე ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუმცა ექსპერიმენტი ჩატარდა კონკრეტულად ინფარქტის შესახებ. შედეგად დადგინდა, რომ მამაკაცებს, რომლებიც 10 წლის მანძილზე დღეში 63 გრამ შოკოლადს მიირთმევდნენ, ინფარქტის რისკი 17 პროცენტით უმცირდებოდათ.

– იტალიელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანები, რომლებიც ბევრ შოკოლადს მიირთმევენ, სიბერეში ჭკუასუსტობის მსხვერპლნი გაცილებით იშვიათად ხდებიან.



– შოკოლადი შიმშილის გრძნობასაც უმკლავდება. საკმარისია, სულ რაღაც, 10 გრამი შოკოლადის შეჭმა, რომ შიმშილი გაივლის.

– შოკოლადის მოყვარულები უფრო დიდხანს ცოცხლობენ. კვლევა, რომელიც აღნიშნულ საკითხს ეხებოდა, მთელი 60 წელი გრძელდებოდა. ჰოდა, რა შედეგიც იქნა მიღებული, კი გითხარით უკვე.

– შოკოლადის პატარა ნატეხის შეჭმის შემდეგ, ადამიანები ბევრად უკეთ უმკლავდებიან მათემატიკურ ამოცანებს, რაც ბრიტანელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს.

– ბევრი ამტკიცებს, რომ შოკოლადის რამდენიმე ნატეხის მიღების შემდეგ, ბევრად უკეთ აზროვნებენ, რაც ბრიტანელი მეცნიერების დასკვნის მართებულობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

– მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ერთი ჭიქა ცხელი შოკოლადი ამშვიდებს ყელს და უმკლავდება ხველის რეფლექსსაც.

– სტატისტიკის თანახმად, ქვეყნებში, სადაც შოკოლადს დიდი რაოდენობით მიირთმევენ, თურმე, უფრო მეტი ნობელის ლაურეატი ცხოვრობს.

*mainfun.ru*

## მზის სინათლე რომანტიკული ნაცნობობის გაბმის საშუალების შანსებს ზრდის



– სიყვარული სულ არის, რას მიქვია დრო და ამინდიო, – კი იტყვიან ხოლმე ზოგჯერ, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ამინდს ზუსტად რომ პირდაპირი კავშირი ჰქონია ადამიანების ურთიერთობებზე.

მაგალითად, მზის სინათლე ადამიანის განწყობას ამაღლებს და ურთიერთობებში უფრო გახსნილს ხდის. ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას რომანტიკულ კავშირებზეც – ქალები ბევრად უპრობლემოდ თანხმდებიან მამაკაცებს გაცნობაზე, უმხელენ ტელეფონის ნომრებს მაშინ, როცა გარეთ მზიანი ამინდია.

ექსპერიმენტი ფრანგმა მეცნიერებმა ჩაატარეს, რომლის ფარგლებშიც რამდენიმე მიმზიდველი მამაკაცი ქუჩაში იმისთვის გაგზავნეს, რომ მაქსიმალურად ბევრი ქალი გაეცნოთ. ექსპერიმენტი რამდენიმე დღე გრძელდებოდა – ხან წვიმიან, ხანაც მზიან ამინდში.

თითოეული მამაკაცი ქალს ერთსა და იმავე ტექსტს ეუბნებოდა: რომ ძალიან მოეწონა, მაგრამ სამსახურში აგვიანდებოდა და თუ ტელეფონის ნომერს მისცემდა, მოგვიანებით დაურეკავდა. ამის შემდეგ მამაკაცი იღიმებოდა და ქალის რეაქციას ელოდებოდა. თუკი ქალი ფიქრს 10 წამზე მეტს დაუთმობდა, ეს უარის თქმად ითვლებოდა.

მოკლედ, საბოლოო ჯამში აღმოჩნდა, რომ მზიან ამინდებში ქალები გაცილებით გახსნილები იყვნენ. კერძოდ, ტელეფონის ნომრის გამხელას მზიან ამინდში მინიმუმ 20 პროცენტი დასთანხმდა, წვიმისას მაქსიმუმ – 14 პროცენტი.

– ეს აშკარად იმის მანიშნებელია, რომ მზის სინათლე ამაღლებს განწყობას. ამის გამო ადამიანები ბევრად ხალისიანები არიან და არც ახალ ნაცნობობას ერიდებიან, – ასკვნიან მეცნიერები სამხრეთ ბრეტანის უნივერსიტეტიდან.

*uainfo.org*

## სახალხო სტრიპტიზის გამო, ბრიტანელი ტურისტი ეგვიპტელებმა ფსიქიატრიულში დააწვინეს



მართალია, რა, სადაც ჩახვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო, თორემ ქუდის ნაცვლად, თავს მაგარ შარში გაყოფ.

ეგვიპტის ქალაქ ლუქსორში 31 წლის ბრიტანელმა ტურისტმა, როგორც ჩანს, გვარიანად მოილხინა, შემდეგ კი ტანსაცმელი გაიძრო და სახალხოდ სხეულის „ექსტრავაგანტური მოძრაობები“ დაიწყო.

რასაკვირველია, ამ ფაქტს მამაკაცების გარკვეული ნაწილის მხრიდან აღფრთოვანება მოჰყვა და შიშველ ქალს თვალებგაფართოებულებმა დაუწყეს ყურება, თუმცა პოლიციამ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი დააკავა და ფსიქიატრიულ კლინიკაში უკრა თავი.

ცნობილია ისიც, რომ მომდევნო დღეებში ბრიტანელი ტურისტი ორი კლინიკად გაიქცა, შემდეგ კი ის ასუანის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც, ალბათ, გაძლიერებული დაცვა დაუყენეს.

სამწუხაროდ, ინციდენტის სხვა დეტალები აღარ ზუსტდება და ამდენად, ვერ გეტყვით, რა ბედი ელის ბრიტანელ ტურისტს.

*newsru.co.il*

## გერმანიაში „ზიზღის ცხელი ხაზი“ გაიხსნა



გადაგრიათ, გაგამწარათ და ნერვები დაგაწყვიტათ ვინმემ, მაგრამ აგრესიის გამოვლენას ბევრი მიზეზის გამო ერიდებით? სამწუხაროდ, საქართველოს შემთხვევაში, ბოლმის გულში დატოვება მოგიწევთ, აი, გერმანელებისთვის კი „ზიზღის ცხელი ხაზი“ ამოქმედდა.

სულ რაღაც 1,5 ევროდ, ნებისმიერი გაბრაზებულ-გამწარებულ-გაღიზიანებული ადამიანი ცხელ ხაზზე დარეკავს და იმდენს იყვირებს და იმდენჯერ შეიგინება, რამდენიც გაუხარდება.

ასეთი უცნაური ცხელი ხაზის ამოქმედების იდეა ერთ-ერთი სარეკლამო სააგენტოს თანამშრომლებს გაუჩნდათ.

მათი თქმით, ძალიან ხშირად ხდება ხოლმე, რომ ადამიანებს „ორთქლის გამოშვება“ სჭირდებათ.

„ზიზღის ცხელი ხაზის“ ოპერატორები ამბობენ, რომ დღე-ღამის განმავლობაში მათთან ზარები, ფაქტობრივად, არ წყდება.

იდეის ავტორები დარწმუნებულები არიან, რომ ახალი სერვისი უსაზღვროდ სასარგებლოა: ცხელ ხაზთან ჩხუბის შემდეგ, ადამიანს შეუძლია, მოდუნდეს და ყოველდღიური ცხოვრება ბევრად დამშვიდებულმა გააგრძელოს.

*korrespondent.net*

## ბრიტანულმა სასამართლომ ნარკომოვაჭრეს მარიხუანას მავნებლობის შესახებ ესსეს დაწერა დაავალა



კარგად ცნობილი ფაქტია, რომ მარიხუანას ძალიან ბევრი მომხმარებელი ჰყავს და ქვეყნებში, სადაც ეს მსუბუქი ნარკოტიკული საშუალება ლეგალიზებული არ არის, „დაბოლების“ მოყვარულებს კანონით სჯიან. ერთი ეგ არის, ზოგან თუ სასჯელი უმკაცრესია, სხვაგან ბევრად მსუბუქი და ამასთანავე, უცნაურ-სულელური.

მაგალითად, ბრიტანულმა სასამართლომ ერთ-ერთ ნარკომოვაჭრეს, ტერი ბენეტს მარიხუანის მავნებლობის შესახებ ესსეს დაწერა დაავალა, რომელიც მინიმუმ 5 ათასი სიტყვისგან უნდა შედგებოდეს და რომელსაც საზოგადოება აუცილებლად გაეცნობა.

ტერი ბენეტის თქმით, ის შოკირებული იყო, როცა სასამართლოს გადაწყვეტილება მოისმინა, თუმცა, დაგვეთანხმებით, ციხეში ჩაჯდომას ისევ ესსეს დაწერა ჯობია.

– ასი წელია ესსე აღარ დამიწერია. მოსამართლეს ვთხოვე, იქნებ დამეწერა არგუმენტები მარიხუანის სასარგებლო და მავნე თვისებების შესახებ, თუმცა პასუხად მივიღე, რომ რადგან ნარკოტიკული საშუალება არალეგალურია, მხოლოდ ცუდი მხარე უნდა წამოვწიო, – ამბობს 32 წლის ბრიტანელი.

ცნობილია, რომ ნარკომოვაჭრემ ესსე სასამართლოს 4 აპრილს უნდა ჩააბაროს.

*rian.ru*

## 42 წლის ჰოლანდიელს 82-ე... შვილი შეეძინა



სრულიად დამსახურებულად ედ გუბენს „ბავშვების მწარმოებლის“ სტატუსი მიენიჭა. მაშ, ხუმრობა საქმე ხომ არ არის, 42 წლის ასაკში (თუმცა ასაკს ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არ აქვს) უკვე 82 შვილი რომ გეყოლება?!

რამდენად შეიძლება ამ ამბის დაჯერება, თავად განსაჯეთ, თუმცა, როგორც იქაური მედია წერს, 8 წლის მანძილზე ქალაქ მაასტრიხტის მკვიდრმა 42 წლის ედ გუბენმა უკვე 82 შვილი „გააკეთა“.

ედ გუბენი ეხმარება იმ ქალებს, რომელთაც შვილის ყოლის სურვილი აქვთ. საამისოდ ჰოლანდიელ მამაკაცს ყველაფერი აქვს: ჯანმრთელობაც და გარეგნობაც. თვეში ის 15 ქალს ემსახურება, თუმცა სრულიად უსასყიდლოდ. ერთადერთი, ფულს მხოლოდ იღებს, თუკი დამკვეთი ჰოლანდიის საზღვრებს გარეთ ცხოვრობს.

დღეისთვის „ბავშვების მწარმოებელი“ 45 გოგონას და 37 ვაჟის მამაა. გარდა ამისა, ჰყავს საყვარელი ქალი, რომელიც პარტნიორის საქმიანობას გაგებით ხვდება.

*globalfact.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



კითხვა სომხურ რადიოს:

– შეიძლება თუ არა ფილმში იყოს ჰეფი-ენდი, თუ დასასრულს მთავარი გმირი დაიღუპება?

– რა თქმა უნდა, შეიძლება – თუ მთავარი გმირი სიდედრი იქნება...

*****

ცოლი ქმარს:

– ძვირფასო, გიყვარვარ?

– ჰო, რა ვიცი, მიყვარხარ.

– არა, „ჰო, რა ვიცის“ გარეშე მითხარი!

– კარგი, მიყვარხარ!

– „კარგის“ გარეშე მითხარი, რომ სიცოცხლეზე მეტად გიყვარვარ!

– სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ!

– მატყუებ!

– არა, არ გატყუებ! მას შემდეგ, რაც შენზე ვიქორწინე, ასეთ სიცოცხლეს ველარ ვიტან!!!

*****

31 დეკემბერი.

ოპტიმისტი: ახალი წელი უკეთესი იქნება, ვიდრე გასული წელი.

პესიმისტი: ახალი წელი გასულ წელზე საშინელი იქნება.

რეალისტი: მაგარს გამოვძლები!..

*****

მამაკაცი შეყვარებულის მიერ გაწვდილ ორსულობის ტესტს დასცქერის და უცბად გაახსენდება დედის შეგონება, როცა კალთაში ჩასმულს რეიტუზებს აცმევდა ხოლმე:

– დაიმახსოვრე, შვილო, ორი ხაზი – ტრა...ია!..

*****

ცოლი სარკის წინ დგას და კეკლუცობს. მერე ქმარს ეუბნება:

– დღეს ექიმთან ვიყავი და მითხრა, მკერდი 20 წლის გოგოსავით გაქვსო.

– და 50 წლის ტრა...ზე არაფერი უთქვამს?

– არა, ძვირფასო, შენზე არ გვილაპარაკია!..

*****



– რა მოხდება, თუ მთვარეს დიდხანს ვუყურებ?

– ვერ გამოიძინებ!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. თავქარიანი, ანუ ...
2. ღია საზაფხულო კაბა
3. პორთოსი, არამისი, ...
4. დროის საზომი მექანიზმი
5. ზღვის ძუძუმწოვარი
6. ინგლისის დედაქალაქი
7. რუსი ფიზიოლოგი
8. დაბა ადიგენის რაიონში
9. ტყემლის სახელებელი
10. წყლის ტრანსპორტი
11. აბზინდის არაყი
12. „მეფე ერეკლე და ... ქალი“
13. სირაქლემას სახეობა
14. მხატვარი სალვადორ ...
15. ქართ. მინერალ. წყალი
16. მსახიობი ქეით ...
17. რამაზ ჩხიკვაძე სპექტაკლში „ჭინჭრაქა“
18. იაპონური ხალათი
19. ..., დი, ტრი, ტეტრა
20. ვინი პუჰის ავტორი
21. ფედერიკო ფელინის ფილმი
22. ბულგარელი ნათელმხილველი
23. კანარის კუნძულების მთავარი კუნძული
24. ტროაში აპოლონის ქურუმი დაახრჩვეს გველებმა
25. მტაცებელი ცხოველი სავანაში
26. ნიავი
27. იუპიტერის თანამგზავრი
28. საძირკველი
29. კომპოზიტორი სერგეი ...
30. მისი დედაქალაქია ოსლო
31. რაკეტების გასაშვები პოლიგონი
32. სახელმწიფო ევროპაში
33. საქონლის ჯოგი
34. „დედოფალი მარგო“ ავტორი
35. მსახიობი ბენ ...
36. მოგზაური ... პოლო
37. ცხენბურთი
38. მწერალი ვირჯინია ...
39. მწვანე მინერალი
40. თევზის ჯიში
41. მწერალი ლუიჯი ...
42. პოეტი ... მიცკევიჩი
43. ... მორჩილაძე
44. თურქეთის დედაქალაქი
45. ციტრუსი
46. ვირას საპირისპირო ბრძანება
47. რუსი მხატვარი
48. რეჟისორი შოთა ...
49. არაყი
50. მსახიობი ... დეპი
51. ცისარტყელას ფერი
52. ფურუნკული
53. ვიწრო გზა ტყეში
54. მსახიობი ... ჩახავა
55. ჩინეთის დედაქალაქი
56. ლატვიის დედაქალაქი
57. მკურნალობის მეთოდი ტალახით
58. ჩინეთის დიდი ...
59. იაპონური არაყი
60. რეჟისორი ... ვაიდა
61. ქალაქი ყირიმზე
62. ... კალატოზიშვილი
63. „ჰამლეტი“ პერსონაჟი
64. მით. გმირი. ცნობილია ქუსლით
65. შოლოხოვი. „წყნარი ...“
66. ჩოგბურთელი ... სამპრასი
67. ოდრი ტოტუ ფილმში
68. ... გავეყარე და ვუის შევეყარე
69. ფიცარი ფანჯრის ქვეშ
70. მსახიობი ... გარსია
71. ინდაურის წვნიანი
72. ზუსტი საზომი ხელსაწყო, რომლითაც სხვა საზომ ხელსაწყოებს ამოწმებენ
73. მსახიობი ... ელიავა
74. სოფელი თელავის რაიონში
75. გაუშლელი ფოთოლი
76. მსახ. ... თარხნიშვილი
77. მსახიობი ბრედ ...
78. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
79. მსახიობი ... დიზელი
80. ქალაქი იაპონიაში
81. მსახიობი სოფი ...
82. ბიბლიური ბრძენი მეფე
83. კვერცხის თეთრი შიგთავსი
84. ექიმი. შეისწავლა ფარისებრი ჯირკვლის ფუნქცია
85. აზროვნების ორგანო
86. პოეტი ... ლესბოსელი
87. იჩქარე ...
88. მწერის მეტამორფოზის ბოლო სტადია
89. წინაღობის ერთეული
90. მსახიობი სტეფანია ..
91. მთა აფრიკაში
92. „ჟიზელი“ კომპოზიტორი
93. მით. ქალი ჯადოსნური ხმით
94. მეფის მხლებლები
95. მხატვარი ნელი ...
96. ჩანთოსანი ცხოველი სამხ. ამერიკაში
97. დონ კიხოტის ცხენი
98. სოფელი ოზურგეთ. რაიონში
99. ... სულაკაური
100. კონსტანტინ. გამსახურდიას მოთხრობა
101. ქიმიური ელემენტი
102. მოდელი ... კროუფორდი
103. მუსიკის მოყვარული
104. ინდიელთა ტომის მეთაური
105. იზოლირებული ფეხბურთელი ბინა მრავალსართულიანი სახლის ბანზე
106. ჟურნალისტი ... ლაზაშვილი
107. სამიანი ნარდში
108. ადმინისტრაციული ერთეული ძველად
109. სინთეზური ქსოვილი
110. ნასესხები ფული
111. პირის ღრუს თაღი
112. ჩვილი, ანუ ...
113. ფეხბურთელი ფაბრიციო ...
114. ვერდის ოპერა
115. ქვის ლობე
116. ორგანული ნივთიერება
117. მზესუმზირის ტკბილეული
118. პოლონეთის დედაქალაქი
119. სანელებელი
120. მომღერალი ... მორისეტი
121. ჯიმ კერი ფილმში
122. ნაგვის ყუთი
123. კომპოზიტორი ... გაბუნია
124. ქალაქი თურქეთში
125. ავტორბოლა
126. ლომების ოჯახი
127. რადიოს იტალიელი გამომგონებელი გილიერმო ...
128. ხის ჯამი
129. მსახ. ... მაკგრეგორი
130. ჩეხეთის დედაქალაქი
131. საყანედ გაჩეხილი ტყე
132. მთათა სისტემა ... შანი
133. რეჟისორი ... ჩხეიძე
134. რუსი ილუზიონისტი
135. მსახიობი ჯორჯ ...
136. მხარე გერმანიაში
137. პოეტი ... ახმატოვა
138. „მაუგლი“ პითონი
139. მოგებული პარტია ნარდში
140. ტაბლეტი
141. პურის სოკო

პასუხები: 1. ქარაფშუტა; 2. სარაფანი; 3. ათოსი; 4. საათი; 5. სელაპი; 6. ლონდონი; 7. პავლოვი; 8. აბასთუმანი; 9. ომბალო; 10. ნავი; 11. აბსენთი; 12. ინგილო; 13. ემუ; 14. დალი; 15. ბორჯომი; 16. უინსლეტი; 17. ქოსიკო; 18. კიმონო; 19. მონო; 20. მილნი; 21. ‘ამარკორდი“; 22. ვანგა; 23. ტენერიფე; 24. ლაოკოონი; 25. ლომი; 26. სიო; 27. იო; 28. ფუნდამენტი; 29. რახმანინოვი; 30. ნორვეგია; 31. კოსმოდრომი; 32. ლიხტენშტაინი; 33. ნახირი; 34. დიუმა; 35. აფლეკი; 36. მარკო; 37. პოლო; 38. ვულფი; 39. მალაქიტი; 40. ციმორი; 41. პირანდელო; 42. ადამ; 43. აკა; 44. ანკარა; 45. ლიმონი; 46. მაინა; 47. რერიხი; 48. მანაგაძე; 49. იგავი; 50. ჯონი; 51. იისფერი; 52. ძირმაგარა; 53. ბილიკი; 54. მედეა; 55. პეკინი; 56. რიგა; 57. ბალნეოლოგია; 58. კედელი; 59. საკე; 60. ანჯეი; 61. სევასტოპოლი; 62. ნანკა; 63. ოფელია; 64. აქილევსი; 65. დონი; 66. პიტ; 67. ‘ამელი“; 68. ვაის; 69. რაფა; 70. ენდი; 71. საცივი; 72. ეტალონი; 73. ლია; 74. ნაფარეული; 75. კვირტი; 76. ვანიკო; 77. პიტი; 78. სირ; 79. ვინ; 80. ნაგასაკი; 81. ლორენი; 82. სოლომონი; 83. ცილა; 84. ბაზედოვი; 85. ტვინი; 86. საფო; 87. ნელა; 88. იმაგო; 89. ომი; 90. სანდრელი; 91. კილიმანჯარო; 92. ადანი; 93. სირინოზი; 94. ამალა; 96. ოპოსუმი; 97. როსინანტი; 98. ძიმითი; 99. ზაალ; 100. ‘ლილ“; 101. ნატრიუმი; 102. სინდი; 103. მელომანი; 104. ბელადი; 105. პენტჰაუზი; 106. ნათია; 107. სე; 108. მაზრა; 109. ნეილონი; 110. ვალი; 111. სასა; 112. ალუა; 113. რავანელი; 114. ‘ტრავიატა“; 115. ყორე; 116. ანილინი; 117. ჰალვა; 118. ვარშავა; 119. მარილი; 120. ალანის; 121. ‘ნიღაბი“; 122. ურნა; 123. ნუნუ; 124. ტრაპიზონი; 125. რალი; 126. პრაიდი; 127. მარკონი; 128. გობი; 129. ევან; 130. პრაღა; 131. ახო; 132. ტიან; 133. რეზო; 134. კიო; 135. კლუნი; 136. ბავარია; 137. ანა; 138. კაა; 139. ოინი; 140. აბი; 141. ობი. იკითხება: ფიფქი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ალექსანდრე მაკედონელის ცხენი
2. ნარინჯისფერი პიგმენტი
3. ქართ. გლეხის ტყავის ფეხსაცმელი
4. იანის საპირისპირო
5. თავისუფალი ენციკლოპედია (კომპ.)
6. კუბური ცეკვა
7. საბავშვო ინფექც. დაავადება
8. ლითონის ჩაჩქანი
9. ქვემეხის ლულის დახვგა
10. გაძლიერებული მეიარაღება
11. ვახტანგ, იგივე ბუბა ...
12. ჩერჩეტი, ანუ ...
13. მხატვარი ... გრეკო
14. მუსიკის მოყვარული
15. დადებითი ელექტროდი
16. მეჩეთის კოშკი
17. სოფელი ოზურგეთის რაიონში
18. მაღაროელის სპეცტანსაცმელი
19. წყლის ფრინველი
20. გიული ჭოხონელიძის ფილმში
21. მუსლიმანთა ფეოდალი მმართველი
22. პროლეტარიატის ბელადი
23. ნაკლი, ზადი
24. სამხედრო წოდება
25. უღელტეხილი ლიხის ქედზე
26. ცხენის ნაშიერი
27. შენი ... და ჩემი კისერი
28. კარგი ამინდი
29. ისტორიული ტერიტორია ტიგროსსა და ევფრატს შორის
30. „სწავლობს გიგლა“ ...
31. ყავის მოსადუღებელი ჭურჭელი
32. გამადიდებელი მინა
33. თურქეთის დედაქალაქი
34. შენობის ლითონის ჩონჩხი
35. „დორიან ... პორტრეტი“
36. იგი კვაზიმოდოს უყვარდა
37. ციხესიმაგრის ქვის ღობე
38. მსახიობი ... უჩანეიშვილი
39. „მაუგლი“ პითონი
40. უარყოფითი ელექტროდი
41. „უდიპლომო სასიძო“ სასიძო
42. ავტორბოლა
43. ავსული ალადინის ლამპარში
44. ზღვაოსანი ფერნანდო ...
45. მდინარე ციმბირში
46. მსოფლმხედველობა
47. ბუდისტი მასწავლებელი
48. საფრანგეთის დედაქალაქი
49. ხატმწერი ანდრეი ...
50. მსახიობი ... წულაძე
51. ნივთიერება თამბაქოს ფოთოლში
52. მსახიობი ... სტრიპი
53. ქართ. ზღაპრის გმირი ქოშებით
54. რეჟისორი ... ჰოვარდი
55. თეთრი მინერალი სკოლაში
56. ფეთქებადი ნივთიერება
57. რომის პაპის ზამთრის სამოსი
58. რიცხვი: მხოლობითი და ...
59. ხის დიდი ჭურჭელი ღვინისათვის
60. მოჭიდავე, ანუ ...
61. პატიმრების გამოშვების ფორმა
62. მომღერალი ლიზა ...
63. პოეტი აკაკი ...
64. ორსახა ღმერთი
65. მსახიობი ... რიშარი
66. ესტონეთის დედაქალაქი
67. მწერალი სტანისლავ ...
68. ხუთოსანი, ანუ ...
69. ფილიპინების დედაქალაქი
70. ძვირფასი ქვა
71. ფურუნკული, ანუ ...
72. მომღერალი ... გვერდწითელი
73. მევიოლინე ლიანა ...
74. მღვდელმთავარი, ანუ ...
75. გრძელი კოტლეტი ლავაშში
76. ვაჟიშვილი
77. კომპოზიტორი ანტონიო ...
78. ღვინის გამყიდველი ძველად
79. მლაშე სანელებელი
80. მწერალი ჟიულ ...
81. კანიბალი, ანუ ...
82. ერთიანი ნარდში
83. ბურდულის ფილმში „... მზე“
84. ზღვა იტალიასთან
85. დათვი რომ მოგერევა, ... დაუძახეო
86. ახალი ზელანდიის მკვიდრი
87. ბრინჯაო, ანუ ...
88. ტელეკოშკი
89. ხის ანათალი
90. სომხეთის დედაქალაქი
91. სამხედრო წოდება
92. მდინარე აღმ. საქართ.
93. მ/ფ „შერეკილები“ პერსონაჟი
94. ბურატინოს მეგობარი კუ
95. ერთ-ერთი თითი
96. მდინარე ციმბირში
97. ... შვარცენეგერი
98. 90 გრადუსიანი კუთხე
99. მსახიობი ორნელა ...
100. ს-ს ორბელიანის მშობლ. სოფელი
101. მსახიობი ... თურმანი
102. კურორტი ბულგარეთში
103. გრანიტში შემავალი სილიკატი
104. სამნაწილიანი ნაწარმოები
105. ოთხკაციანი ანსამბლი
106. ზღვის პოლიპის რიფი
107. თავის ჩონჩხი
108. ფრანგი კომედიოგრაფი
109. ხერხემლის ძვალი
110. მან იკაროსს ცვილის ფრთები გაუკეთა
111. ძალიან ძველი ნივთები
112. აორტის ანთება
113. მკვდარი ცხოველის სხეული
114. ჰემინგუეი. „... თოვლიანი მთა“
115. ერთგვარი ქარი
116. რუსული ავტომობილი
117. ძველი დოკუმენტების საცავი
118. ჩეხური ავტომობილი
119. გარეული ფრინველი
120. სამეჯლისო ცეკვა
121. ორელექტროდიანი მილაკი
122. „შუა ქალაქში“ ლოთი მეზობელი
123. ჩრდილი, ანუ ...
124. ... ჰო, ... არა
125. შინაური ცხოველი
126. ანიკოს პირველი ქმარი (ფილმიდან)
127. ბულგაკოვი. „... და მარგარიტა“
128. ციხესიმაგრე თბილისში
129. „... უნდა 20000“
130. სამკურნალო მცენარე
131. ... მოგივა დავითაო
132. გერმანელი პოეტი
133. მტაცებელი თევზი ამაზონში
134. სისხლისმწოველი მწერი
135. შეკრული მორები წყალზე
136. პატარა ტანის ძაღლი
137. დედამიწის გუმბათი
138. ხუთკაციანი ანსამბლი
139. თეთრი მასა ლუდის თავზე
140. ხორბლის ჯიში
141. ავადმყოფობა, ანუ ...
142. მომღერალი ჯო ...

პასუხები: 1. ბუცეფალი; 2. კაროტინი; 3. ქალამანი; 4. ინი; 5. ვიკიპედია; 6. ჰაბანერა; 7. წითელი; 8. მუზარადი; 9. ლაფეტი; 10. მილიტარიზაცია; 11. კიკაბიძე; 12. ბოთე; 13. ელ; 14. მელომანი; 15. ანოდი; 16. მინარეთი; 17. ნასაკირალი; 18. რობი; 19. თოლია; 20. „ფატიმა“; 21. ხალიფა; 22. ლენინი; 23. ხინჯი; 24. გენერალი; 25. რიკოთი; 26. კვიცი; 27. ხმალი; 28. დარი; 29. მესოპოტამია; 30. ტიტინა; 31. ჯეზვე; 32. ლუპა; 33. ანკარა; 34. კარკასი; 35. გრეის; 36. ესმერალდა; 37. გალავანი; 38. ლევან; 39. კაა; 40. კათოდი; 41. ბიჭიკო; 42. რალი; 43. ჯინი; 44. მაგელანი; 45. ობი; 46. კრედო; 47. გურუ; 48. პარიზი; 49. რუბლიოვი; 50. ბაადურ; 51. ნიკოტინი; 52. მერილ; 53. ბაბაჯანა; 54. რონ; 55. ცარცი; 56. ამონალი; 57. კამაურო; 58. მრავლობითი; 59. კასრი; 60. ფალავანი; 61. ამნისტია; 62. ბაგრატიონი; 63. წერეთელი; 64. იანუსი; 65. პიერ; 66. ტალინი; 67. ლემი; 68. ფრიადოსანი; 69. მანილა; 70. ამეთვისტო; 71. ძირმაგარა; 72. თამარ; 73. ისაკაძე; 74. არქიელი; 75. ლულაქაბაბი; 76. ძე; 77. ვივალდი; 78. სირაჯი; 79. მარილი; 80. ვერნი; 81. კაციჭამია; 82. იაქე; 83. უძინართა; 84. ადრიატიკა; 85. ბაბა; 86. მაორი; 87. რვალი; 88. ანძა; 89. ნაფოტი; 90. ერევანი; 91. მაიორი; 92. ქსანი; 93. ტრიფონი; 94. ტორტილა; 95. ნეკი; 96. ირტიში; 97. არნოლდ; 98. მართი; 99. მუტი; 100. ტანძია; 101. უმა; 102. ვარნა; 103. ქარსი; 104. ტრილოგია; 105. კვარტეტი; 106. მარჯანი; 107. ქალა; 108. მოლიერი; 109. მალა; 110. დედალოსი; 111. ანტიკვარი; 112. აორტიტი; 113. ლეში; 114. კილიმანჯაროს; 115. მუსონი; 116. „ნივა“; 117. არქივი; 118. „ტატრა“; 119. ყვავი; 120. ვალსი; 121. დიოდი; 122. მათე; 123. ლანდი; 124. ან; 125. თხა; 126. კია; 127. ოსტატი; 128. ნარიყალა; 129. ვის; 130. სალბი; 131. რაც; 132. გოეთე; 133. პირანია; 134. კოღო; 135. ტივი; 136. ფინია; 137. ცა; 138. კვინტეტი; 139. ქაფი; 140. იფქლი; 141. სენი; 142. დასენი. იკითხება: მედეა ჯაფარიძე.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ უკრაინაში გმირულად დაიღუპა კომპანიის თანამშრომლის, ბატონ მიხეილ გრიგოლაშვილი შვილი

## ალექსანდრე გრიგოლაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.

**პანაშვიდი:** 23, 24 დეკემბერს;
**დაკრძალვა:** 25 დეკემბერს;
**გამოსვენება:** ქ. ქუთაისი, ხარების ეკლესია. 14 სთ.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## სტუდენტმა სისხლდენის შემაჩერებელი გელი გამოიგონა



სტატისტიკას თუ მოვიშველიებთ, შედეგი ძალიან სავალალოა – უამრავი ადამიანი გარდაცვლილა სისხლდენის, ძალიან სერიოზული პრობლემის გამო, რომელსაც ზოგჯერ პროფესიონალი ექიმებიც კი ვერაფრით უმკლავდებიან.

აქედან გამომდინარე, ნიუ-იორკელი სტუდენტის ჯო ლანდოლინას გამოგონება სპეციალისტების აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი წინსვლაა.

როგორც ირკვევა, ჯო ლანდოლინამ სპეციფიკური გელი გამოიგონა, რომელსაც სისხლდენის შეჩერება უმოკლეს დროში შეუძლია.

გელის მთავარი თავისებურება ის არის, რომ ჭრილობაში შეყვანისას ის სწრაფად მყარდება, რითიც ორგანიზმს არათუ ვნებს, არამედ სისხლის დაკარგვის საშუალებას აღარ აძლევს.

ამ ეტაპზე გელი გამოცდილია მღრღნელებზე და როგორც ამბობენ, ცდები დიდი წარმატებით დასრულდა.

პროდუქციის გასაღებისთვის ჯო ლანდოლინამ საკუთარი კომპანიაც დააფუძნა, რომელიც, ალბათ, დიდად წარმატებული იქნება, რადგან სიახლით უკვე დაინტერესდა პენტაგონის პერსპექტიულ კვლევათა სააგენტო.

*deleysk.ru*

## კანადაში შემდგარი უკანასკნელი დუელის ორივე მონაწილემ შიშისგან გონება დაკარგა



– თქვენ პარაზიტი ხართ!

– როგორ მიბედავთ?! დუელში გიწვევთ! რომელ იარაღს აირჩევთ?

– დიხლოფოსს...

1873 წელს დუელში ერთმანეთს ორი კუდაბზიკა კანადელი შეხვდა, ერთი გვარად დული, მეორე კი – ჰილი. დუელის დანიშვნის მიზეზი ის გახლდათ, რომ ორივე მამაკაცს ერთი ქალი უყვარდა.

მიჯნურები ერთმანეთს დათქმულ ადგილზე უთენია შეხვდნენ. გადაითვალეს 20 მეტრი, უცბად შებრუნდნენ და გაისროლეს. დული მაშინვე მიწას დაენარცხა. ჰილი შეშფოთდა და შეძრწუნდა, რადგან იფიქრა, რომ მოწინააღმდეგე მოკლა და თავადაც წაიქცა.

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, დუელანტები გონს მოეგნენ. აღმოჩნდა, რომ ორივემ გონება შიშისგან დაკარგა.

მოგვიანებით დუელის მონაწილეები გამოტყდნენ, რომ პისტოლეტები ფუჭი ვაზნებით ჰქონდათ დატენილი, რაც ეტიკეტის სერიოზული დარღვევა იყო. სამაგიეროდ, თითოეულმა ჩათვალა, რომ შედეგით კმაყოფილები იყვნენ და რომ დუელი მეორედ აღარ შედგებოდა.

როგორც ამბობენ, კანადაში ეს უკანასკნელი დუელი იყო...

*factroom.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**24 დეკემბერი:** ახსნის ისეთი უცნაური მანერა გექნებათ, საეჭვოა, გაგიგონ. ამის გამო ნერვები არ დაიწყვიტოთ, თქვენი ბრალი იქნება.

**კურო 22.04-21.05**

**24 დეკემბერი:** შეიძლება დღეს უმართავი იყოთ და თქვენი შესაძლო ქმედებებიც ძნელი ამოსაცნობი იქნება. თქვენ ამის გამო უხერხულობა არ შეგექმნებათ, სხვებმა იდარდონ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**24 დეკემბერი:** დღეს შეგაწუხებთ არა იმდენად თქვენი პრობლემები, არამედ თქვენ მიმართ უყურადღებობა. ზედმეტი არ მოგივიდეთ, სხვებსაც აქვთ პრობლემები.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**24 დეკემბერი:** სხვადასხვა სახის წესები, რომლებიც ხშირად გიწამლავთ სიცოცხლეს, შესაძლოა თქვენი დაცვის გარანტად იქცეს. მათი იგნორირება დღეს არ ღირს.

**ლომი 23.07-22.08**

**24 დეკემბერი:** როგორც ჩანს, საქმეებში გაგიმართლებთ. დაიკაპიწეთ ხელები და იმოქმედეთ, შეძლებთ დაამტკიცოთ, რომ საუკეთესო ხართ.

**ქალწული 23.08-22.09**

**24 დეკემბერი:** შეეცადეთ, დარწმუნდეთ, რომ თქვენს ცხოვრებაში ერთ-ერთ საუკეთესო შანსს არ უშვებთ ხელიდან და ამის შემდეგ იმოქმედეთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**24 დეკემბერი:** დღეს გვირაბის ბოლოს სინათლეს დაინახავთ. საკითხავი ის არის, მოგინდებათ კი მიჩვეული და უსაფრთხო ადგილიდან გამოსვლა?

**მორიელი 23.10-21.11**

**24 დეკემბერი:** შესაძლოა, ადრინდელი დანაშაულის გრძნობამ შეგაწუხოთ. ეს არა მხოლოდ თქვენი ფსიქიკისთვის არის ცუდი. თქვენი ასეთი განწყობით შეიძლება ვიღაცამ ბოროტად ისარგებლოს.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**24 დეკემბერი:** თქვენი ყველაზე დიდი კოზირი გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება იქნება. რაც უფრო თამამად იმოქმედებთ, მით მეტი შანსია, რომ თქვენი გადაწყვეტილებები სწორია.

**თხის რქა 22.12-19.01**

**24 დეკემბერი:** პირველმა შთაბეჭდილებამ შეიძლება მწარედ მოგატყუოთ. სანამ რამე გადაწყვეტილებას მიიღებთ, დარწმუნდით რამდენად სანდოა ადამიანი, ვისთანაც საქმის დაჭერას აპირებთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**24 დეკემბერი:** თქვენი მთავარი ამოცანა დღეს საჭირო დროს საჭირო ადგილზე ყოფნა იქნება. ყურადღებით აკონტროლეთ ინფორმაციები.

**თევზები 19.02-20.03**

**24 დეკემბერი:** ოდესღაც გაკეთებულმა რაღაც საქმემ, შეიძლება შედეგი დღეს მოგიტანოთ. კარგად გაიხსენეთ, რა საქმეა ეს და ვინ იყო თქვენი პარტნიორი.

## ვატიკანი – კაცობრიობის საიდუმლო ცოდნის საცავი



ამბობენ, ვატიკანის ბიბლიოთეკაში ინახება 1.600.000 ნაბეჭდი გამოცემა (როგორც თანამედროვე, ისე უძველესი), 8300 პირველბეჭდილი წიგნი (მათგან 65 პერგამენტზე), 150.000 ხელნაწერი და საარქივო ტომი, 300.000 მედალი და მონეტა, ასევე, 100.000 გრავიურა. ამის გარდა, ლეგენდა გვამცნობს, რომ ბიბლიოთეკაში არსებობს უამრავი საიდუმლო ოთახი, რომელთა შესახებაც მხოლოდ შეფიცულებმა იციან და არაფერი ყოფილა ცნობილი ბევრი პაპისთვისაც კი.

სწორედ ამ ოთახებში ინახება შეუფასებელი ხელნაწერები, რომლებიც სამყაროს შესახებ, ფაქტობრივად, ყველა საიდუმლოს ნათელს ჰფენს.

ოფიციალურად ვატიკანის ბიბლიოთეკა 1476 წლის 15 ივნისს, მას შემდეგ დაარსდა, რაც პაპმა სიქსტუს **IV** შესაბამისი ბრძანებულება გამოსცა. მაგრამ ეს რეალობას სულაც არ ასახავს. ამ დრომდე ბიბლიოთეკას უკვე ჰქონდა ძალიან ძველი და მდიდარი ისტორია. ვატიკანში უკვე ინახებოდა უძველესი ხელნაწერების კოლექცია, რომელიც სიქსტუს IV წინამორბედებმა შეაგროვეს. ისინი იცავდნენ ტრადიციას, რომელიც ჯერ კიდევ **IV** საუკუნეში პაპ დამას **I** დროს გაჩნდა. 1481 წლისთვის ვატიკანის ბიბლიოთეკაში უკვე ინახებოდა დაახლოებით 3500 ხელნაწერის ორიგინალი, რომლებიც მთელი ევროპის ტერიტორიაზე იყო მოგროვილი.

ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული საიდუმლოა უძველესი ინდიელების – ტოლტეკების წიგნები. მათ შესახებ ცნობილია მხოლოდ ის, რომ წიგნები მართლაც არსებობს. დანარჩენი ყველაფერი ჭორები, ლეგენდები და ჰიპოთეზებია. მაგალითად, ამბობენ, სწორედ ამ წიგნებშია საუბარი ინკების დაკარგული ოქროს მდებარეობაზე. ასევე, ტოლტეკების წიგნებშია ყველაზე სანდო ინფორმაცია დედამიწაზე უცხოპლანეტელების ვიზიტების თაობაზე...

ოფიციალურად ბიბლიოთეკა სამეცნიერო სამუშაოებისთვის გახსნილად ითვლება, თუმცა ყოველდღიურად იქ მოხვედრა მხოლოდ 150 სპეციალისტს შეუძლია. ასეთი ტემპებით კი იქ არსებული მასალის შესწავლას მინიმუმ 1250 წელი დასჭირდება.

*othereal.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



უმძიმესი მორიგეობის შემდეგ, გადაღლილი პოლიციელი სახლში ძლივს მილასლასდა და ისე, რომ საძინებელში სინათლეც არ აუნთია, გაიხადა და ცოლს გვერდში მიუწვა. ცოლმა მაშინვე წუწუნი მორთო:

– თავი მტკივა! ვკვდები! რამე წამალი მიყიდე!!!

პოლიციელს გაახსენდა, რომ განყოფილებაში ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი ჰქონდა. ადგა, ისევ სინათლის ანთების გარეშე ჩაიცვა და წამალზე წავიდა.

განყოფილებაში მისულს მორიგემ ჰკითხა:

– შენ რა, ბიჭო, სხვა სამსახურიც გაქვს?

– ხომ არ აფრენ, საიდან მოიტანე ეგ სისულელე?!

– აბა, მეხანძრის ფორმა რატომ გაცვია?!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

ალია ⋙ 211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი
**გიორგი ბრეგვაძე**

**რედაქტორი:** თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
**ილია ჭაძვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**



**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008
9 772298 000000
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.54